ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 212 (19658) ◆ ᲙᲕᲘᲠᲐ, 14 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐᲖᲔ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ-ᲡᲐᲥᲛᲔ!

ᲣᲚ რაღაც ორი კვირა და ამოიწურება მესამე კვარტალი, პერიოდი, რომელმაც შევრად უნდა განსაზღვროს, როგორი მაჩვენებლებით დავამთავრეთ მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს და როგორ საძირკველს ჩავუყრით სამომავლო ამოცანების გადაწყვეტას. უფრო ნათელი გახდება, როგორ ვასრულებთ ᲙᲙᲠ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, ᲙᲙᲠ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებებს, როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა.

რა შედეგებს მივაღწიეთ სადღეისოდ რესპუბლიკის მრეწველობაში? მიმდინარე წლის რვა თვის პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის გეგმები გადაჭარბებით შესრულდა. გეგმის შესრულების დაჯილდებას თავი ვერ გაართვა საკავშირო დაქვემდებარების 10-მა საწარმომ. კვლავ უკან ეწევიან საქმეს რუსთავის „აზოტისა“ და „საქთვეზმრეწის“ საწარმოო გაერთიანებები, ფოთის ელექტრომანქანური გამძლეოვრებლებისა და რუსთავის თუჯსხმულების ქარხანები, ზოგიერთი სხვა საწარმო.

კვლავინდებურად არასახარბიელო მდგომარეობაა სახელმეკრულებო დისციპლინის დაცვის მხრივ, რაზედაც უკვე კონკრეტულად იყო ლაპარაკი გაზეთ „კომუნისტის“ 10 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ მოწინავე სტატიაში და ამიტომ ამ საკითხზე აღარას ვიტყვით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიუროს გაფართოებულ სხდომაზე, რომელზეც განხილეს ეკონომიკურ-სოციალური განვითარების რვა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და დასახეს ცხრა თვისა და მოლიანად მიმდინარე წლის წარმატებული დამთავრების ღონისძიებანი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპს. აღინიშნა, რომ რვა თვეში მისმა ზრდამ 104,1 პროცენტი შეადგინა და იანვარ-იელისთან შედარებით 0,7 პუნქტით გადიდდა, მაგრამ ეს მაჩვენებელი ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს წლიური გეგმითა და, მით უმეტეს, სოციალისტური ვალდებულებით დასახული მიჯნის მიღწევას.

საჭიროა ძალების მაქსიმალური დაძაბვა იმისათვის, რომ არ გავტეხოთ სიტყვა და უთუოდ გავადიდოთ წარმოების მოცულობა 4,4 პროცენტით. ეს ციფრი სრულიად რეალურია და ამაზე მეტყველებს აგვისტოში მიღწეული შედეგი. წარმოების მოცულობის ზრდამ ამ თვეში 108,2 პროცენტი შეადგინა!

თუ შეტ მონდომებასა და გულისხმიერებას გამოვიჩენთ, მთელი სერიოზულობით მივუდგებით იმ დამატებითი დავალებების შესრულებას, რომლებიც ყველა სამინისტროს, უწყებას, გაერთიანებასა და საწარმოს მიეცა, აუცილებლად მივაღწევთ მიზანს. ამას ელაპარაკებოდა თბილისის „ჩარხმშენებელის“, ხოსუმის „ორგტექნიკის“, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს, „ჭითათურმანგანუმის“, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებების, „ანალიზელსაწყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების, თბილისის „ელექტროიზოლიტის“, საინსტრუმენტო ქარხნისა და მთელი რიგი სხვა საწარმოების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ამ დავალებების რეალიზაცია.

დიახ, მართალია, მიეუახლოვდით წარმოების მოცულობის ზრდის ტალიური გეგმით გათვალისწინებულ მიჯნას, მაგრამ რაიმე განსაკუთრებულად ხელმესახებ წარმატებებზე ლაპარაკი ჯერ ზედმეტია. მიზეზს სხდომას ნითელ ზოლად გასდევდა ის აზრი, რომ საერთო სიტუაცია კვლავინდებურად დაძაბულია, ყოველდღე გარდაქმნები, ცალკეულ უბნებზე ეს პროცესი საერთოდ არ იგრძნობა. ბევრია ისეთი მუშაკი, რომელებმაც ვერ გადალახეს ინერტულობა, ძველი ინერციის ძალა. მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში სუსტია შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა, გრძელდება საქმისადმი, მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, ბევრს არ უნდა გიგოს, რომ ახლებურად აზროვნება, ინიციატივიანობა, ეკონომიკურ-სოციალური განვითარების დაჩქარება, ერთი სიტყვით, გარდატეხა დრო, ის, პარტიის გადაუდებელი მოთხოვნაა და ამას ეერავინ გაექცევა. როცა გარდაქმნაზეა ლაპარაკი, უპირველესად, იგულისხმება შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, საქმეში გულისა და სულის ჩაქონა, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლა. მთლიან გარდაქმნას გარკვეული დრო სჭირდება, მაგრამ ამ მხრივ დაყოვნება შეუწყნარებელია. არავის სჭირდება ლამაზი სიტყვები გარდაქმნის თაობაზე, უკეთესია მივხედოთ ვეგმების ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მისაღწევად შესრულებას, დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებას, რიტმულ შუშაობას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე წინსვლა-განვითარებას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, როგორც ცნობილია, შრომის ნაყოფიერება განსაზღვრავს. პოდა, როგორი შესრულებელია ის ფაქტი, რომ მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ეს მაჩვენებელი 313 საწარმომ და გაერთიანებამ შეამცირა? ახლა მდგომარეობა რუსთავის „აზოტისა“ და „საქნავთობის“ საწარმოო გაერთიანებებისათვის, სამწუხაროდ, ჩვეულებრივ მოელენად იქცა, მაგრამ რა დავმართათ, მაგალითად, თბილისის საზეინკლო-სამონტაჟო, თბილისის საპნის, ხმელის ბიოკიმიურ, თელავის სარეშონტო-მექანიკურ ქარხნებს, თბილისის უქსოვი ფართლეულის ექსპერიმენტულ ფაბრიკას?

რა მიზეზებითაც უნდა იმართლონ თავი ზემოჩამოთვლილ საწარმოთა ხელმძღვანელებმა, ფაქტი ფაქტად რჩება. შეიძლებოდა დაგვესახლებინა ამ მრავე ჩამორჩენილი სხვა საწარმოებიც. მათმა რაოდენობამ მრეწველობაში 32,3 პროცენტი შეადგინა. საკმაოდ დიდია მათი რიცხვი სახაგრომრეწვის, მხუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის, პურპროდუქტების სამინისტროების სისტემებში.

არაერთხელ თქმულა, რომ გარდაქმნის მთავარი კრიტერიუმია პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუჯობესება. წლის განვლილ დროში, მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვება რესპუბლიკის მრეწველობაში 23,6 პროცენტით შემცირდა. არა, ამას აქვს ობიექტური მიზეზებიც: ატესტაციას ადარ ექვემდებარება მეორეხარისხოვანი პროდუქცია, სსრ კავშირის მაგი მეტალურგიის სამინისტროთ თავის საწარმოებში გაატქმა ზოგიერთი ნაწარმზე სატესტო ჯუოკუთხედის მოპოვების უფლება.

ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ საერთო მდგომარეობის გაუარესებაში სეოდაგან ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, ისევ და ისევ რუსთავის „აზოტისა“ და თბილისის „ჩარხმშენებელის“ საწარმოო გაერთიანებები, „ანალიზელსაწყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, აგრეთვე მათუმის ნავთობგადამამუშავებელი, თბილისის „აგრეგატის“, ქუთაისის რეზინექნიკური ნაწარმის, ხოსუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნები.

მომჭირნეობის ერთ-ერთი უმთავრესი საზომია პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. საერთოდ, მომჭირნეობის საკითხს ამ მოკლე ხანში ცალკე მოწინავე სტატია მიეძღვნება. ამიტომ დღეს აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ იანვარ-იელისში პროდუქციის თვითღირებულება დიდად გაიზარდა. მიაქციეთ ყურადღება: რესპუბლიკურმა საწარმოებმა 10555 ათასი მანეთი დაზოგეს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა კი 11445 ათასი მანეთი გადახარჯეს და ამით გაამეტეს უკონმია. იმავე „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებაში, მაგალითად, პროდუქცია გაძვირდა 14382 ათასი მანეთით, მათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში — 1009 ათასი მანეთით, ქუთაისის მოტობლოკების ქარხანაში — 606 ათასი მანეთით და ა. შ.

აქედან გასაგებია, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ ვერ შეასრულა მოგების გეგმა. საერთოდ, საკავშირო დაქვემდებარების მრავალი დიდი საწარმო, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის, მხუბუქი მრეწველობის, სახაგრომრეწვის, მთელ რიგ სხვა უწყებათა საწარმოები მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მოექცნენ, და თუ მტკიცე ღონისძიებები არ განხორციელდა ასეთი ვითარებიდან თავის დასაღწევად, ახლებურად მუშაობის პირობებში ისინი ვერ იარსებებენ.

საჭიროა მაქსიმალურად დაეძაბოთ ძალები დასახული ამოცანების უთუო გადაწყვეტისათვის. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ იმ მაჩვენებლების სტაბილურობისათვის, რომლებზეც მოითხოვებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ᲚᲚᲙ ცენტრალური კომიტეტის ახლახან მიღებულ დადგენილებაში „შეთორმეტე ხუთწლედის დაგეგმვა ნაწარმეებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“.

ᲡᲐᲫᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სართავი ფაბრიკა საქართველოში ერთადერთი საწარმოა, რომელიც ბამბეულის ნართით ამარაგებს რესპუბლიკის ყველა გაერთიანებასა და ფაბრიკას.

გაერთიანების კოლექტივი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის შრომითს ვახტზე დადგა და გადიდებული ვალდებულებები იკისრა. მეთორმეტე ხუთწლედში ძირითადი ყურადღება დაეთმობა პროდუქციის ხარისხს.

გაერთიანების კოლექტივში ვეტერანებთან ერთად წარმატებით შრომობს ახალგაზრდობა და თავისი წვლილი შეაქვს საერთო საქმეში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: თამარ შეფლაშვილი მხვევლად მუშაობს ფაბრიკის სახვევ-საგრეხ საამქროში. გოგონა წარმატებით უთავსებს ერთმანეთს შრომასა და სწავლას. იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის სტუდენტია.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ

ᲐᲮᲚᲔᲗᲘ გამოფენები ძალზე იშვიათად ეწყობა. ჩვეულებრივი გამოფენებისაგან განსხვავებით, აქ წარმოდგენილი ექსპონატების ავტორები უველანაირად ცდილობენ არ მოხვდნენ მის სტენდებზე. ეს სავსებით ბუნებრივია, ვის ესიამოვნება თავისი ავტოგრაფი დატოვოს ექსპონატის ქვეშ, რომელიც საყოველთაო აღმფოთებას, ზოგჯერ... სიცილსაც იწვევს. სამე ის არის, რომ ეს რესპუბლიკის მსუბუქი, ადგილობრივი, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის იმ ნაწარმის გამოფენაა, რომელიც დაიწუნეს საკავრო ორგანიზაციებმა. ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, აეჯის 500-ზე მეტი დეფექტიანი ექსპონატი მოწმობს, რომ საქმეს დაუდევრად ეკიდება ამ დარგების ზოგიერთი მუშაკი, რომ ისინი არ არიან დაინტერესებული შრომის საბოლოო შედეგებით.

საგულისხმოა, რომ შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმის დეფექტები ძირითადად არცთუ ისე მნიშვნელოვანია და ადვილად შეიძლება მათი გამოსწორება. მაგალითად, ეს არის მოშლილი ელვა ქვედა კაბაზე, დაუდევრად მიკერებული ჯიბე ქოროტკაზე, აწყვეტილი ღილები პიჯაკზე, შეგნდებად კაბები ზურგზე მიკერებული ჯიბეებით, ნაქსოვი სვეტერები ჩავარდნილი თვლებით. როგორიც უნდა იყოს დეფექტი, იგი მოწმობს თავისი წარმოშობის სუბიექტურ მიზეზს. რიგით მუშაკს, რომელმაც ეს პროდუქცია დაამზადა, ან კონტროლიორს მეტი კეთილსინდისიერება, მომთხოვნელობა რომ გამოეჩინინ, ასეთი წუნიც არ გვექნებოდა.

სხვა არის ფეხსაცმელი. უკვე მერამდენე წელია სტაბილურად ვერ კმაყოფილდება მოხერხებულ, მოდურ, ლამაზ ფეხსაცმელზე რესპუბლიკის მცხოვრებთა მოთხოვნილება. მართალია, ამბობენ, რომ ქართველი მემოდელეები ქმნიან თანამედროვე მყიდველისათვის სავსებით მისაღებ ნიმუშებს, რომლებსაც ხალისით იღებენ ვაჭრობის მუშაკები, მაგრამ რაოდენ შორს არის ზოგჯერ ნიმუშისაგან სერიოზულ წარმოებაში გადაკეთებული ეგივე მოდელი. დაუდევარი შესრულებით, ჩამქრალი ტონებით გამოირჩევა თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის „ისნისა“ და ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის აქ წარმოდგენილი ნაწარმი. უფრო მეტიც, ქუთაისელმა მეფეხსაცმლეებმა მხოლოდ ახლა დაიწყეს საზაფხულო ფეხსაცმლის გამოშვება.

შეიცვალა ბაზრის კონიუნქტურა, მაგალითად, აშკარად იგრძნობა თეთრეულის მეტისმეტი სიჭარბე, მაგრამ ეს სულაც არ აცბუნებთ მის შეკერვაზე დასპეცებულ საწარმოებს.

აი თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის მიერ გამოშვებული სკამი. მასზე ჯერ არავინ მჯდარა, მაგრამ არც არავინ დაჯდება, რადგან უკვე მორყეულია და უვარგისი.

სავალალო „რეკორდი“ დაამყარა გამოფენაზე ცხაკაიას ხალიჩების კომბინატმა — დაწუნებული ნაწარმის დონემ აქ 80 პროცენტს გადააჭარბა. ზენორმატიული ნამთი კი მილიონობით მანეთს შეადგენს.

გამოფენა დაათვალიერეს ამხანაგებმა ჯ. ი. პატიაშვილმა, ვ. ი. ალავიძემ, გ. ა. ანჩაბაძემ, ო. ე. ჩერქეზიამ, ნ. ა. ჭითანავამ.

მსუბუქი, ადგილობრივი, ხეტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობის ხელმძღვანელებთან აქ გაიმართა მწვავე, პრინციპული სჯა-ბაასი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასა და ვაჭრობაში ნაკლოვანებათა დაძლევის ღონისძიებათა შესახებ. ამჟამად, როცა საბჭოთა ადამიანების მოთხოვნა საქონლის ხარისხსადმი, მათი სამომხმარებლო თვისებებისადმი მკვეთრად გაიზარდა, ინდუსტრიამ და ვაჭრობამ უნდა გაიერთიანონ მეცადინეობა საერთო მიზნის მისაღწევად — დააკმაყოფილონ მომხმარებელთა მოთხოვნა. სინამდვილეში კი ეს მომჯავრე დარგები ხშირად აკლენენ შეუთანხმებლობას, უწყებრივ დაქსაქსულობას.

იმაში, რომ მყიდველი ხშირად რესპუბლიკის მაღაზიებში ვერ პოულობს საჭირო საქონელს, ბრალი მიუძღვით თვით ვაჭრობის მუშაკებსაც. საქონელზე შეკვეთების შედგენისას ისინი სათანადოდ არ ითვალისწინებენ წინა წლებში ანალოგიური ნაწარმის ფაქტობრივი მიწოდებისა და რეალიზაციის მონაცემებს, უგულებელყოფენ მოთხოვნის შესწავლას. გამყიდველისაგან კი, რომლისგანაც საქონელი არ იყიდეს, მეტად იშვიათად ისმის კითხვა: „რისი ყიდვა გნებავთ?“.

ეს გამოფენა ზემოთ აღნიშნული დარგების დაუდევარ მუშაკთა სერიოზული გაფრთხილებაა. ხალხისათვის განკუთვნილი საქონელი მოამზადებელს უნდა ანიჭებდეს სიხარულს, კმაყოფილებას, მოაჭრდეს მისთვის სარგებლობა, გამოირჩეოდეს მასობრივი მოწონების ნიშნით.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲝ ᲐᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

ᲣᲙᲕᲔ ტრადიციად ქცეული ხილბოსტნეულის ბაზრობები საშუალებას აძლევენ რესპუბლიკის მშრომელებს შეიძინონ საუკეთესო ხარისხის საშემოდგომო ხილბოსტნეული, რომელიც ქალაქელებისათვის პირდაპირ მინდვრებიდან და ბაღებიდან ჩამოაქვთ. ახლანდელი ბაზრობა, რომელიც მუშაობას კვირას დაამთავრებს, რეკორდული გახდება როგორც საქონლის რაოდენობით, ისე მისი ასორტიმენტით.

დაახლოებით 4.000 ტონა სხვადასხვანაირი ხილბოსტნეული ზუსტად გრაფიკით ჩამოაქვთ რესპუბლიკის დედაქალაქში. საქართველოს თვრამეტი რაიონი უგზავნის თბილისს საუკეთესო პროდუქციას. დიასახლისებს მშვენიერი საშუალება ეძლევათ ზამთრისათვის დაამზადონ მწნილები და მურაბები, მოიმარაგონ ბოსტნეული და ხილი. ქალაქელებისათვის მარტო რესპუბლიკის სახაგრომრეწვის მეურნეობებმა და ავეკავშირმა როდი იზრუნეს. ისინი მარტო ვერ გაართმევდნენ თავს ასეთ დიდ ტვირთს. მათ დაეხმარნენ თბილისისა და რუსთავის, საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მშრომელები. მათ ტრანსპორტი და ხალხი გამოჰყვეს დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებისათვის.

ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲒᲕᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲯᲐᲠᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ტᲝᲜᲔᲑᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔᲣᲚᲘ შავი ლითონის საქართველოს რესპუბლიკურმა საწარმოო გაერთიანებამ მიმდინარე წლის სექტემბერში 35 ათას 800 ტონა ჯართის დამზადების დავალება მიიღო. ეს ციფრი 3700 ტონით აღემატება ამ თვის გეგმას.

ამიტომ, საჭიროა დაუყოვნებლივ მივხედოთ საქმეს. მივაწოდოთ მომხმარებელს ლითონი რიტმულად, გამოვრიცხოთ ამ მხრივ იერიმობანა. მეორეული შავი ლითონის შეროვებისა და დანიშნულების ადგილამდე გაგზავნასთან დაკავშირებული დავალებების ჩაშლა დაუშვებელია.

სახელმწიფოსთვის ლითონის საარსებო მნიშვნელობაზე მსჯელობა აღარ უნდა იყოს საჭირო. ამას ვლაპარაკობთ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქალაქების — ფოთის, ზუგდიდის, მარნეულის, ადრეულ ასპინძის, ბორჯომის, გარდაბნის, ქარელის, კასპის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მესტიის, მცხეთის, თეთრწყაროს, წალკის რაიონების ჯართის ჩამბარებლების საყურადღებოდ. მათ ვერ შეძლეს რვა თვის გეგმის შესრულება. ეს, ცხადია, ეხება ამ ქალაქებისა და რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებსაც, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ამ საქმისადმი სათანადო კონტროლი.

როგორც ყოველთვის, ახლაც დიდძალი ჯართი დააკლო სახელმწიფოს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრომ. ლითონის დამზადების გეგმის შესრულებისათვის არც „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების, „სასოფლომანქანის“ საწარმოო გაერთიანებისა და თბილისის საქალაქო საბჭოს ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეუწუხებიათ თავი. იეკავშირის სისტემიდან მომხმარებელმა ვერ მიიღო 321 ტონა ვერეთ წოდებული უპატრონო ჯართი.

არადა, როცა მონდომებაა, საქმის წინსვლას ვერაფერი აფერხებს. რვა თვეში მეორეული შავი ლითონის დამზადების გეგმა შესარულა თბილისის ყველა რაიონმა. კარგ შედეგებს მიაღწიეს აგრეთვე ქალაქებმა რუსთავმა, ჭიათურამ, გორმა, აბაშის, ახალციხის, ახმეტის, ზესტაფონის, ზუგდიდის, სამტრედიის, ხაშურის რაიონებმა და აჭარამ.

ვიმეორებთ: სექტემბერში გეგმა გაზრდილია და ყველაფერი უნდა ვიღონოთ მის შესასრულებლად.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ დიდი წარმატებით მიმდინარეობს კიროვაკანის ო. აბელიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები. ს. შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრის სცენაზე სტუმრებმა უკვე უჩვენეს მაყურებელს სპექტაკლები — მ. ლერმონტოვის „მასკარადი“, ა. ცოდაკის „ბაუფრთხილდით მამაკაცებს“, უ. შექსპირის „რიჩარდ მეორე“, სტუმრებმა გამოაცხადეს დიდი პროფესიონალიზმი, რთულ ცხოვრებისეულ პროცესებში ჩარევისა და მათი ზნეობრივი შეფასების უნარი, საინტერესო თემების ძიებისა და მათი მკაფიო მხატვრული გადაწყვეტისა და მ. ი. ბაზაროვის.

12 სექტემბერს სომხურმა დასმა თბილისელთა სამაჯაგროზე გამოიტანა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი — ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატი“. საგულისხმოა, რომ თვალსაჩინო ქართველი დრამატურგის ეს პიესა, რომელიც მუდამ ამშვენებდა მრავალი სომხური თეატრის რეპერტუარს, 45 წლის შესვენების შემდეგ კვლავ დაიდგა კიროვაკანის თეატრის სცენაზე.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, ო. ე. ჩერქეზია, გ. გ. გუბარიძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ბ. ა. მალკოვი.

* * *

სპექტაკლის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, რესპუბლიკის ხელმძღვანელები შეხვდნენ თეატრის ხელმძღვანელობას. ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა მხურვალედ მიულოცა სომხეთის ხელოვნების წარმოგზავნილებს თბილისში მოპოვებული დიდი წარმატება, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართული და სომხური კულტურები, რომლებსაც მეგობრობის საუკუნოვანი კეთილი ტრადიცია აკავშირებთ, განსაკუთრებით განვითარდა ჩვენს პერიოდში. ახლანდელი გასტროლები ამის კიდევ ერთი დადასტურებაა. ისინი, უეჭველად, საინტერესო ფურცელს ჩაწერენ მოძმე კულტურების ურთიერთგამდიდრების ისტორიაში.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲔᲒᲝᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲛᲔᲝᲩᲔᲯᲘ დღეა თბილისში დიდი წარმატებით მიმდინარეობს კიროვაკანის ო. აბელიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები. ს. შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრის სცენაზე სტუმრებმა უკვე უჩვენეს მაყურებელს სპექტაკლები — მ. ლერმონტოვის „მასკარადი“, ა. ცოდაკის „ბაუფრთხილდით მამაკაცებს“, უ. შექსპირის „რიჩარდ მეორე“, სტუმრებმა გამოაცხადეს დიდი პროფესიონალიზმი, რთულ ცხოვრებისეულ პროცესებში ჩარევისა და მათი ზნეობრივი შეფასების უნარი, საინტერესო თემების ძიებისა და მათი მკაფიო მხატვრული გადაწყვეტისა და მ. ი. ბაზაროვის.

12 სექტემბერს სომხურმა დასმა თბილისელთა სამაჯაგროზე გამოიტანა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი — ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“. საგულისხმოა, რომ თვალსაჩინო ქართველი დრამატურგის ეს პიესა, რომელიც მუდამ ამშვენებდა მრავალი სომხური თეატრის რეპერტუარს, 45 წლის შესვენების შემდეგ კვლავ დაიდგა კიროვაკანის თეატრის სცენაზე.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, ო. ე. ჩერქეზია, გ. გ. გუბარიძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ბ. ა. მალკოვი.

* * *

სპექტაკლის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები შეხვდნენ თეატრის ხელმძღვანელობას. ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა მხურვალედ მიულოცა სომხეთის ხელოვნების წარმოგზავნილებს თბილისში მოპოვებული დიდი წარმატება, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართული და სომხური კულტურები, რომლებსაც მეგობრობის საუკუნოვანი კეთილი ტრადიცია აკავშირებთ, განსაკუთრებით განვითარდა ჩვენს პერიოდში. ახლანდელი გასტროლები ამის კიდევ ერთი დადასტურებაა. ისინი, უეჭველად, საინტერესო ფურცელს ჩაწერენ მოძმე კულტურების ურთიერთგამდიდრების ისტორიაში.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

12 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ა. გრომიკოს თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი ყირგიზეთის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციისათვის გაწეული მუშაობის შესახებ. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. იაზუელევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმდომარემ ტ. ხ. კოშოევმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს იმ დეპუტატთა სახელით, რომლებმაც ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში შეისწავლეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პრაქტიკა, ინფორმაცია გააკეთა დეპუტატმა ლ. პ. შურიგინამ — მოსკოვის №73 საქალაქო პოლიკლინიკის განყოფილების გამგემ. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. მუკაშევი, თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. იაზყულიევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, წევრი, ვიაზნიკის სელის ტექნიკური ქსოვილების საწარმოო გაერთიანების მქსოველი რ. ა. გავრილოვა, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ს. პ. ბურენკოვი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. მ. რეკუნკოვი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. ნ. ბლოხინი.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კონტროლის წესით განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 12 აგვისტოს დადგენილება „საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისა და მოქალაქეთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის ირკუტსკის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის შესახებ“. მოისმინეს ირკუტსკის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ა. მ. კოვალჩუკის მოხსენება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიების თანამოხსენება სხდომაზე გააკეთა ეროვნებათა საბჭოს საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ს. ზნამენსკიმ. კამათში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ.-ბ. ი. სონგაილა, სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. გ. ნიკოლაკი, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ნ. დმიტრიევი.

ამ საკითხზე მიღებული დადგენილებანი პრესაში გამოქვეყნდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

დ



ორმოცი წლის წინათ, 1946 წლის სექტემბრის ერთ დღეს, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ტანკისტების საბრძოლო დამსახურების აღსანიშნავად მოსკოვის წითელ მოედანზე საზეიმო მარშით ჩაიარეს კანტემირის გვარდიული სატანკო დივიზიის ნაწილებმა. მას შემდეგ ჩვენი ხალხი სექტემბრის მეორე კვირას ყოველწლიურად აღნიშნავს ტანკისტის დღეს, დიდ პატივს მიაგებს რა მრისხანე საბრძოლო მანქანების მფლობელებს, სატანკო ჯარების ვეტერანებს, მძლავრი საბრძოლო ტექნიკის შემოქმედთ.

წელს ტანკისტის დღე აღინიშნება სკკპ XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით გამოწვეული უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული ტანკისტები, ისევე როგორც არმიისა და ფლოტის ყველა მეომარი, დაძაბული მხედრული შრომით ამრავლებენ შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერებას.

სატანკო ჯარების წარმოშობისა და განვითარების ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული ვ. ი. ლენინის სახელთან. მისი პირადი მითითებით ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ მუშებმა იყორის ქარხნისა და ამოს, ამკამნერნაჩოვის სახელობის ქარხნის მუშებთან თანამშრომლობით სამოქალაქო ომის რთულ პირობებში ააგეს პირველი საბჭოთა ტანკი. 1920 წლის 31 აგვისტს ქარხნის ეზოკრიდან გავიდა ეს მანქანა, რომელსაც ეწოდა „თავისუფლებისათვის მებრძოლი ამხ. ლენინი“.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ შესაძლებელი გახადა საბჭოთა სატანკო მრეწველობის შექმნა. 1927 წელს წითელ არმიას გადაეცა მს-1 ტიპის ხუთტონიანი მსუბუქი ტანკი. ამ ტანკით იღებს დასაბამს სერიული საბჭოთა ტანკმშენებლობის ისტორია.

ჯავშანსატანკო ტექნიკის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა ჩვენი ტანკისტების ოსტატობა. საბრძოლო წრთობა მიიღეს მათ ხახანის ტბასთან, ხალხინ-გოლზე, კარელიის ყელზე ბრძოლებში. ოცდათზე მეტ ტანკისტს მიენიჭა მაშინ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ბევრი კი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა.

საბრძოლო გამოცდილების განზოგადებამ, მოახლოებული ომის ხასიათის განჭვრეტამ, ამ ომში სატანკო ჯარების როლის სწორმა განსაზღვრამ საბჭოთა ტანკმშენებლებს საშუალება მისცათ წარმატებით გადაეწყვიტათ ჯავშანსატანკო ტექნიკის შემდგომი სრულყოფის ამოცანა. 1940 წლიდან დაიწყო გამოშვება ტანკებისა, რომლებიც შექმნეს კონსტრუქტორთა ჯგუფებმა მ. ი. კოშკინის (ტ-34) და ჟ. ი. კოტინის (კვ) მეთაურობით. ისინი, განსაკუთრებით ტ-34, თავიანთი საბრძოლო თვისებებით ბევრად აღემატებოდა ამგვარი ტიპის ყველა საზღვარგარეთულ მანქანას.

დიდი სამამულო ომი საბჭოთა შეიარაღებული ძალების, მისი ჯავშანსატანკო ჯარების საბრძოლო ძლიერების მკაცრი და ყოველმხრივი შემოწმება გახდა. ბრძოლის ველზე საბჭოთა ტანკისტები იძლეოდნენ სიმამაცის, სიმტკიცის, საბრძოლო ოსტატობის მაგალითებს. დამპყრობლ ე ბ ზ ე ჩვენი სატანკო დარტყმების ძალა ოპერაციიდან ოპერაციამდე მატულობდა.

გმირული, მარჯვე მოქმედების მაგალითი გვიჩვენა მეოთხე სატანკო ბრიგადამ პოლკოვნიკ მ. ე. კატუკოვის მეთაურობით. მოსკოვის მიმართულებით შეუპოვარ ბრძოლებში მან მარტო 1941 წელს 4-დან 11 ოქტომბრამდე გაანადგურა მოწინააღმდეგის 133 ტანკი, 50-ზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი. ოსტატური, ინიციატივიანი მოქმედებისათვის ეს ბრიგადა ერთ-ერთი პირველი გახდა გვარდიული.

გმირულად იბრძოდნენ მეომარ-ტანკისტები კურსკის რკალზე, სადაც ორივე მხრიდან სულ 13 ათასი ტანკი, თვითმავალი და საიერიშო ქვემეხი მონაწილეობდა. მარტო პროხოროვკასთან ბრძოლაში, რომელიც 1943 წლის 12 ივლისს მოხდა, ერთდროულად მონაწილეობდა 1200 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის ყველაზე დიდი შემხვედრი სატანკო ბრძოლა და იგი საბჭოთა მეომრებმა მოიგეს.

ჩვენი ტანკისტების მასობრივ გმირობას ბევრად შეუწყო ხელი მიზანმიმართულმა პარტიულ-პოლიტიკურმა მუშაობამ. ყველა სატანკო ნაწილსა და ქვეგანაყოფში ეკიპაჟების მიხედვით იყვნენ განაწილებული კომუნისტები და კომკავშირელები. ისინი პირადი მაგალითით, მოწოდებებით შთაგონებდნენ თანამებრძოლ ამხანაგებს გმირობისათვის.

ქურსკის რკალზე გამარჯვებით დამთავრდა ძირეული გარდატეხა დიდი სამამულო ომის მიმდინარეობაში და დაიწყო გრანდიოზული შეტევა საბჭოთა კავშირ-გერმანიის მთელ ფრონტზე. 1944-45 წლებში საბჭოთა ჯარებმა მთელი რიგი თანამიმდევრული გამანადგურებელი დარტყმები მიაყენეს ფაშისტ დამპყრობლებს. შეტევის სწრაფი ტემპის მიღწევაში გარდამტეხი ძალა და მტრის დაჯგუფებების გარემოცვის ძირითადი საშუალება ამ ოპერაციებში სატანკო ჯარები იყვნენ. მტერს მძლავრი დარტყმები მიაყენეს ბარჯვენა ნაპირის უკრაინის, ბელორუსიის, უკრაინის დასავლეთი ოლქებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კარპატების ქვეყნების განთავისუფლებისას.

ისტორიას ახსოვს მე-3 და მე-4 გვარდიული სატანკო არმიების სახელოვანი გაჯრა ბერლინიდან პრაღისაკენ ჩეხოსლოვაკიელი პატრიოტების დასახმარებლად, რომლებმაც ანტიფაშისტური აჯანყება დაიწყეს. ცოტა მოგვიანებით, შორეულ აღმოსავლეთში მანჯურიის სტრატეგიული ოპერაციის განხორციელებისახ მოეწყო მე-6 გვარდიული სატანკო არმიის ლეგენდარული მარში გობის უდაბნოსა და დიდი ხინგანის ქედის გავლით. ამან ბევრად გააპირობა კვანტუნის არმიის განადგურება და მილიტარისტული იაპონიის კაპიტულაცია.

სამშობლოს ჯავშნიანი ფარი

ა. მუხინი,
პოლკოვნიკი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯავშანსატანკო სამსახურის უფროსი

სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა ტანკისტების გმირობას დიდ სამამულო ომში. სატანკო ჯარების 250 ათასი ჯარისკაცი, სერჟანტი, ოფიცერი და გენერალი დაჯილდოდა ორდენებითა და მედლებით. მათგან დაახლოებით 200 გახდა დიდების ორდენის სრული კავალერი. 1300-ზე მეტმა ტანკისტმა მიიღო საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო 16-მა კაცმა ჯარისკაცი მარჯვე ხელმძღვანელობისათვის, პირადი გმირობისა და თავდადებისათვის ეს წოდება ორგზის მოიპოვა.

გმირი ტანკისტების მრავალრიცხოვან ოჯახში მრავალია ქართველი ხალხის შვილი. ესენი არიან სატანკო გაერთიანების მეთაური პოლკოვნიკი ბრეგვაძე, სატანკო ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი ბუკია, სატანკო ბატალიონის მეთაური ჯაფარიძე და მრავალი სხვა.

სამშობლოს მაღალი ჯილდოებით აღინიშნა სატანკო ჯარების ნაწილებისა და შენაერთების კოლექტიური გმირობაც. ომის დროს ყველა სატანკო არმია გვარდიული გახდა. ბევრ სატანკო და მექანიზებულ კორპუსსა და ბრიგადას მიენიჭა საპატიო სახელი, ორდენები.

გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ტანკმშენებლებმაც. სატანკო მრეწველობის ცხრა ათასზე მეტ მუშაკს მიენიჭა სახელმწიფო ჯილდოები. ბევრმა მათგანმა მოიპოვა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ომისშემდგომ წლებში უაღრესად გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენციალი, მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც ხალხს მეცადინეობას აძლევენ სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, მტკიცედ და თანმიმდევრულად ადგანან ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების კურსს. იცავენ რა ლენინის მოთხოვნებს, ისინი მშვიდობისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს უხამებენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, არმიისა და ფლოტის საბრძოლო ძლიერების ზრდას. ტანკისტებმა, შეიარაღებული ძალების ყველა მეომარმა მოქმედების საბრძოლო პროგრამად მიიჩნიეს ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება საბჭოთა ტელევიზიით, მისი სიტყვები, რომ „ქვეყნის უშიშროება ჩვენთვის წმიდათაწმიდა საქმეა“. ითვალისწინებენ რა ომის გაკვეთილებს და მსოფლიოში შექმნილ ვითარებას, სამშობლოს დამცველებისადმი სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნას, ისინი ავლენენ დიდ სიფხიზლეს, მუდმივ მზადყოფნას აღკვეთონ იმპერიალიზმის ხრიკები სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.

ბოლო წლების მანძილზე სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მიღწეულმა წარმატებებმა გამოიწვია ნამდვილი რევოლუცია სამხედრო საქმეში და უზრუნველყო არმიისა და ფლოტის არნახული ძლიერება. განვითარების თვისებრივად ახალ საფეხურს მიაღწიეს სატანკო ჯარებმაც. საბჭოთა ტანკებს აქვთ სრულყოფილი. შეიარაღება, ისინი საიმედოდ არიან დაცული დაზიანების სხვადასხვა საშუალებებისაგან, ახასიათებთ მაღალი ძვრადობა, გამავლობა და საეკსპლოატაციო საიმედოობა.

სატანკო ჯარების გაზრდილი საბრძოლო ძლიერება მარტო საბრძოლო ტექნიკით როდი განისაზღვრება, იგი განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა ადამიანებით. 80-იანი წლების ტანკისტები არიან იდეური, ხალხისა და პარტიის უსაზღვრად ერთგული, ყოველმხრივ განათლებული, ფართო პოლიტიკური და სამხედრო თვალსაწიერის მქონე ჯარისკაცები, სერჟანტები და ოფიცრები.

ახლა ოლქის სატანკო ჯარებში კვლავ მძლავრ ნაკადად მოჩქეფს მეომრების შემოქმედებითი ინიციატივა, რომლის მიზანია საბრძოლო მზადყოფნის პროგრამებისა და გეგმების, იმ შეჯიბრების ვალდებულებათა შესრულება, რომელიც მიმდინარეობს დევიზით „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს შევასრულებთ, სამმედოდ დავიცვათ სოციალიზმის მონაპოვრებს!“ საბრძოლო წვრთნაში მაღალი შედეგებით ეგებებან თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მრავალი სატანკო კოლექტივის მეომრები.

ტანკისტები საბჭოთა მეომრებთან, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მეომრებთან ერთიანად მწყობრში მუდამ მზად არიან მოიხადონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი სოციალიზმის ისტორიულ მონაპოვართა დასაცავად.

(საქინფორმი).

სურათზე: სრულყოფილად არიან დაუფლებული საბრძოლო ტექნიკას, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ დადგენილ ნორმატივებს წარჩინებული სატანკო ეკიპაჟის წევრები, კლასის სპეციალისტები (მარცხნიდან) უმცროსი სერჟანტი ხასან ხალმუნიევი, რიგითი ჯარისკაცები იური მუნდიანცი, ვალერი რეიშელი და სასია ხურაგანოლი.

ო. პრონოვნიკოვის ფოტო (საკადისის ფოტოქრონიკა).

ტანკისტის დღის აღსანიშნავად

სამშობლოს დამცველთა დღესასწაულის — ტანკისტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება გაიმართა თბილისში. ოფიცერთა სოლოქო სახლში მოვიდნენ საქართველოს დედაქალაქის პატიოსანი, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და სამმართველოს გენერლები და ოფიცრები, თბილისის გარნიზონის მეომრები, საბჭოთა არმიის ვეტერანები.

კრება გახსნა თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ნ. მღებრიშვილმა.

მოხსენება საბჭოთა ტანკისტთა სახელოვანი მხედრული გზის, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მათი დღევანდელი წარმატებების შესახებ გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. კოჩეტოვი.

კრებას დაესწრო ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-მაიორმა ვ. გ. იაკუშევმა.

კრებას დაესწრო ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-მაიორმა ვ. ნ. ბოლტინი, ოლო საზამთრის რეალიზაციის შემდეგ წყალტუბოელ თანამოსაქმეებს მისთვის უნდა მიეტანათ დამატებით ათი ათასი მანეთი.

ამ უკანონო ოპერაციის შენიღბვის მიზნით დირექტორმა საგეგმო ორი ჰექტარი საზამთროს ნათესი გააფორმა სოფელ პირველსვიერელ ჯემალ და თენგიზ წაქაძეებზე, ხოლო წყალტუბოელი „მეგობრებისათვის“ გაცემული სამი ჰექტარი ფართობი სტატისტიკურ ანგარიშში არ უჩვენა.

პარტიის რაიონულ კომიტეტს და აგროსამრეწველო გაერთიანებას კი მაქინაციები მხედველობიდან არ გამოპპარვიათ. თავის დროზე აღირიცხა საზამთროს ნათესი, განისაზღვრა საშუალო მოსავალი და რეკომენდაცია მიეცათ მეურნეობის ხელმძღვანელებს საზამთრო დამზადების ორგანიზაციების მეშვეობით მიეყიდათ მშრომელებისათვის.

კომბინატორებმა არაფი ჩათვალეს ყოველივე ეს და ქურდულად შეუღებნენ საზამთროს გაყიდვას. 26 აგვისტოს ს. კირთაძემ წაქაძეების დახმარებითა და მ. ურიადმყოფელთან შეთანხმებით თვითნებურად დაკრიფა ხუთი ტონა საზამთრო და სრულიად უსაბუთოდ გაიტანა რაიონის ფარგლებს გარეთ. ეს ოპერაცია ყოველმხრივი შენიღბვის მიუხედავად, ზესტაფონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას ყურადღებიდან არ გამოპპარვია.

გარდა ამისა, მ. ურიადმყოფელის ნებართვით სოფელ კლდეეთელმა ვ. ძაბირაძემ და ტაბაკინელმა ა. კელენჯერიძემ ერთ ჰექტარზე მეტ ფართობზე დათესეს სორგო, რომლის დამუშავებისათვის მეურნეობას თანხა არ გადაუხდია და არც თესლი გამოუყოფია.

როგორც ირკვევა, საზოგადოებრივი მიწების ასეთი მეთოდებით სარფიან გასხვისებას მ. ურიადმყოფელმა ექვსსოდე წლის წინათ დაფო სათაგი, ხოლო მისი „რაციონალიზატორული მეთოდი“ სწრაფად გავრცელდა სხვა მეურნეობებშიც.

„მეგობარს“ პირველმა აუბა მხარი სვირის ვაზის საკოლმეურნეობათაშორისო სანერგე მეურნეობის დირექტორმა კ. აბესაძემ, სადაც 1,21 ჰექტარი საზამთროს ნათესი სტატისტიკურ ანგარიშში არ უჩვენა, იგი გააფორმეს გ. ჯუღელნე და თანაც მეურნეობის ეკონომისტს ა. ცხელიშვილს ათქმევინეს: ფართობი შენზე იქნება გაფორმებული, ხოლო მას გეგუთელი (წყალტუბოს ზონა) მამა-შვილი რაჟდენ და ნოდარ გაგოშიძეები დაამუშავებენო. ამ უკანასკნელთ საზამთროს გატანასა და რეალიზაციაში ეხმარებოდა მათი სიძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის იზოლატორის თანამშრომელი მ. ნარჩომაშვილი, რომელიც ღამის საათებში საზამთროს ნათესში დაჯაკავეს. გაგომშიძეს` მეურნეობის დირექტორი კ. აბესაძე შეუთანხმდა; გეგმის გადამეტებით გაყიდული საზამთროს ყოველი კილოგრამიდან 25 კაპიკს მე მომცემო.

„საზამთრომანია“ გავრცელებული ყოფილა მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაშიც, სადაც მთავარი აგრონომის ნ. წაქაძის ინიციატივით საზამთრო ისე დათესეს 1,48 ჰექტარზე, რომ არსად არ უჩვენებიათ. მადა ჭამაში მოდისო, — იფიქრეს სატყეო მეურნეობის მესვეურებმა და წყალტუბოელ კომბინატორებს 5,61 ჰექტარი მიწა მისცეს საზამთროს დასათესად და ჯიბის გასასქელებლად. ცდუნებას ვერ მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ასცდნენ. მიმდინარე წლის 15 აგვისტოს ზესტაფონის საკოლმეურნეო ბაზარში დაკავეს ვინმე ზურაბ ედიბერიძე, რომელიც უკანონოდ გაცემული ნებართვით ყიდიდა მათს ფართობში მოწეულ საზამთროს.

მკაცრი ღონისძიების მიუხედავად, წყალტუბოელი საქმოსნები ფუტკარივით დასტრიალებდნენ მიღებულ მიწის ნაკვეთებს, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, ხელში ჩაეგდოთ უკანონოდ მოყვანილი მოსავალი. მაგრამ რაიონის ხელმძღვანელთა სიფხიზლის წყალობით ეს მათ ვერ მოახერხეს.

მართალია, მიტაცებული ფართობიდან საზოგადოებრივ მეურნეობებს დაუბრუნდა საზამთრო, მაგრამ ახლა ხელმრუდენი „საქსოფლდამზადებისა“ და „ხილბოსტანეკონტრობის“ რაიონულ ორგანიზაციაში აღმოჩნდნენ. მათ მიწოდებული 83 ტონიდან უჩვენეს მხოლოდ 72,5 ტონა საზამთრო, ხოლო მიღებული 197 ტონიდან დამზადების გაერთიანებამ ამოწერა 32 ტონა, ანუ მთელი პროდუქციის მხოლოდ 30 პროცენტი. ამასთანავე „ხილბოსტანეკონტრობის“ მაღაზიებში არ იყო გამოცხადებული საზამთროს ფასი და ისე ყიდიდნენ, როგორც მოეხასიათებოდათ.

„საქსოფლდამზადების“ რაიგაერთიანებაში საერთოდ სრული განეკითხაობაა. ხელმძღვანელთა წყაროებით და უკონტროლობით დაბა შორაპნის პუნქტის გამგე თ. ფერაძე და მოლარე ნ. კალანდაძე მომხმარებელს თითოეულ კილოგრამ კომბინირებულ საკვებში 16 კაპიკის ნაცვლად 20 კაპიკს ახდევინებდნენ. ასეთივე მდგომარეობა აღმოჩნდა ცენტრალურ პუნქტში, სადაც გამგედ მუშაობს ა. ფერაძე. ერთი კვირის განმავლობაში ერეკლეს ზეგანზე ოთხასი 400 ტონა კომბინირებული საკვები, საიდანაც კომბინატორებმა, ყოველგვარი შრომისა და დანახარჯის გარეშე, დიდი შემოსავალი მიიღეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფასდამახინჯების შემთხვ ე ვ ებ ს მოსახლეობა არ აღიარებს, რაც ძალზე სამწუხაროა.

პარტიის ზესტაფონის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ახლა მთელ ძალისხმევას ახმარენ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას, კომბინატორებისა და საქმოსნების, იოლი შრომით გამდიდრების მოსურნეთა ალაგმვას. ამიტომ აქ ყოველ მომხდარ ფაქტს მწვავე შეფასებას აძლევენ. სვირის სანერგე მეურნეობის დირექტორი მ. ურიადმყოფელი, რომელიც დამნაშავეთა ჯგუფის ხელმძღვანელი აღმოჩნდა, მოიხსნა თანამდებობიდან და გაირიცხა სკკპ რიგებიდან, სამუშაოდან მოხსნეს საკოლმეურნეობათაშორისო სანერგე მეურნეობის დირექტორი კ. აბესაძე. პარტიული სასჯელები დაედო სხვა დამნაშავეებს, მიმდინარეობს საქმის გამოძიება.

რაიონის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოები კვლავაც მთელი შემართებით იბრძოლებენ ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო, მახინჯი მოგლეჯების აღსაკვეთად. ხორცს ისხამს რაიონის მშრომელთა დევიზი: ვიცხოვროთ და ვიშრომოთ თავდადებით, პატიოსნად!

ჰ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გზა გადაკეთებოთ უმრავლესობას ეროვნულ ინტერესებს ... ლიტერატურა

ბოპატიჟებული საქმოსნებით ხელი მოითბეს

სასიკეთო ძვრებია უკანასკნელ წლებში ზესტაფონის რაიონის სანალოგ მეურნეობის განვითარების საქმეში. აქ სულ უფრო მეტად იგრძნობა დაჩქარებისა და გარდაქმნის ტემპი. ამასთან ერთად ენერგიული ბრძოლა მიმდინარეობს ყოველგვარი მავნე გადმონაშთების და სოციალისტური კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ. მაგრამ წარმატებების საერთო ფონზე შავ ლაქად მოჩანს იმათი ბნელი საქმეები, რომლებიც არაფრად აგდებენ სახელმწიფო კანონებს, საზოგადოებრივ აზრს, რაიონის ინტერესებს, წესრიგის დაკვიდრებისათვის გამოცხადებულ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობას. ისინი საქმოსნობის, მომხვეჭელობის და საერთოდ უშრომელი შემოსავლით გამდიდრების მიზნით ყველფერს კადრულობენ, რათა სხვის კისერზე, საზოგადოების ხარჯზე გაისქელონ ჯიბე.

ყოველივე ამის ნათელსაყოფად გამოდგება ზესტაფონის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის მოქმედება, რომელთა დანაშაულობებს ახლახან ეახადა ფარდა.

როგორც შემოწმებამ ცხადყო, რაიონის ზოგიერთმა საქმეურნეო ხელმძღვანელმა უშრომელი შემოსავლის წყაროდ საზოგადოებრივი მიწები გადაქცია და დღისით-მზისით ვზა გაუხსნა სხვა რაიონებიდან მოწვეულ საქმოსნებს, რომლებმაც საზამთროს მასობრივად მოყვანას და სპეკულაციას მიჰყვეს ხელი. ასეთ ხელმძღვანელთა რიცხვს განეკუთვნება სვირის სანერგე საბჭოთა მეურნეობის ახლა უკვე ყოფილი დირექტორი მ. ურიადმყოფელი, რომელიც დანაშაულებრივად დაუკავშირდა წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში მცხოვრებლებს: ნ. ყორქოლიანს, ვ. მამაგიეშვილს და ს. კირთაძეს. მ. ურიადმყოფელმა ამ საქმოსნებს მიწათსარგებლობის ყოველგვარი წესების დარღვევით გამოუყო სამი ჰექტარი მიწის ფართობი საზამთროს დასათესად, რისთვისაც ს. კირთაძისაგან გასამრჯელოდ მიიღო 500 მანეთი, ხოლო საზამთროს რეალიზაციის შემდეგ წყალტუბოელ თანამოსაქმეებს მისთვის უნდა მიეტანათ დამატებით ათი ათასი მანეთი.

ამ უკანონო ოპერაციის შენიღბვის მიზნით დირექტორმა საგეგმო ორი ჰექტარი საზამთროს ნათესი გააფორმა სოფელ პირველსვიერელ ჯემალ და თენგიზ წაქაძეებზე, ხოლო წყალტუბოელი „მეგობრებისათვის“ გაცემული სამი ჰექტარი ფართობი სტატისტიკურ ანგარიშში არ უჩვენა.

პარტიის რაიონულ კომიტეტს და აგროსამრეწველო გაერთიანებას კი მაქინაციებიდან მხედველობიდან არ გამოპპარვიათ. თავის დროზე აღირიცხა საზამთროს ნათესი, განისაზღვრა საშუალო მოსავალი და რეკომენდაცია მიეცათ მეურნეობის ხელმძღვანელებს საზამთრო დამზადების ორგანიზაციების მეშვეობით მიეყიდათ მშრომელებისათვის.

კომბინატორებმა არაფი ჩათვალეს ყოველივე ეს და ქურდულად შეუღებნენ საზამთროს გაყიდვას. 26 აგვისტოს ს. კირთაძემ წაქაძეების დახმარებითა და მ. ურიადმყოფელთან შეთანხმებით თვითნებურად დაკრიფა ხუთი ტონა საზამთრო და სრულიად უსაბუთოდ გაიტანა რაიონის ფარგლებს გარეთ. ეს ოპერაცია ყოველმხრივი შენიღბვის მიუხედავად, ზესტაფონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას ყურადღებიდან არ გამოპპარვია.

გარდა ამისა, მ. ურიადმყოფელის ნებართვით სოფელ კლდეეთელმა ვ. ძაბირაძემ და ტაბაკინელმა ა. კელენჯერიძემ ერთ ჰექტარზე მეტ ფართობზე დათესეს სორგო, რომლის დამუშავებისათვის მეურნეობას თანხა არ გადაუხდია და არც თესლი გამოუყოფია.

როგორც ირკვევა, საზოგადოებრივი მიწების ასეთი მეთოდებით სარფიან გასხვისებას მ. ურიადმყოფელმა ექვსსოდე წლის წინათ დაფო სათაგი, ხოლო მისი „რაციონალიზატორული მეთოდი“ სწრაფად გავრცელდა სხვა მეურნეობებშიც.

„მეგობარს“ პირველმა აუბა მხარი სვირის ვაზის საკოლმეურნეობათაშორისო სანერგე მეურნეობის დირექტორმა კ. აბესაძემ, სადაც 1,21 ჰექტარი საზამთროს ნათესი სტატისტიკურ ანგარიშში არ უჩვენა, იგი გააფორმეს გ. ჯუღელნე და თანაც მეურნეობის ეკონომისტს ა. ცხელიშვილს ათქმევინეს: ფართობი შენზე იქნება გაფორმებული, ხოლო მას გეგუთელი (წყალტუბოს ზონა) მამა-შვილი რაჟდენ და ნოდარ გაგოშიძეები დაამუშავებენო. ამ უკანასკნელთ საზამთროს გატანასა და რეალიზაციაში ეხმარებოდა მათი სიძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის იზოლატორის თანამშრომელი მ. ნარჩომაშვილი, რომელიც ღამის საათებში საზამთროს ნათესში დაიკავეს. გაგომშიძეს` მეურნეობის დირექტორი კ. აბესაძე შეუთანხმდა; გეგმის გადამეტებით გაყიდული საზამთროს ყოველი კილოგრამიდან 25 კაპიკს მე მომცემო.

„საზამთრომანია“ გავრცელებული ყოფილა მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაშიც, სადაც მთავარი აგრონომის ნ. წაქაძის ინიციატივით საზამთრო ისე დათესეს 1,48 ჰექტარზე, რომ არსად არ უჩვენებიათ. მადა ჭამაში მოდისო, — იფიქრეს

ინტერნაციონალიზმის მერიდიანები

ფოლადზე მტკიცე

ნარკვევი

ბათუმი პირველი ქალაქია, რომლითაც დაიწყო საბჭოთა კავშირის გაცნობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და ევროპის სხვა ქვეყნების 460 ტურისტმა. ისინი თბომავალ „ყაზახეთით“ გამოვიდნენ გენუიდან ხმელთაშუა ზღვასა და შავ ზღვაში სამოგზაუროდ. ტურისტების ნაწილი ბათუმიდან ავტობუსით გაემგზავრა სოხუმსა და თბილისში და კრეოზის სხვა მონაწილეებს შეუერთდა იალტაში.

— ამ მოგზაურობაში მონაწილეობის მიღება, — თქვა ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელმა მიუნხენის რაიზენბიუროს თანამშრომელმა ილზა სკრიპალმ, — გადავწყვიტეთ, რათა უფრო ახლოს გავცნობოდით საქართველოს, რომლის შესახებაც ესოდენ ბევრი გვსმენია, მის ადამიანებს, კულტურის ძეგლებს.

სტუმრებმა დათვალიერეს ბათუმის ღირსშესანიშნაობანი, ისეირნეს ზღვისპირა პარკში, იყვნენ დელფინარიუმში, დაესწრნენ აკვარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტს.

— შესანიშნავია! — გაგვიზიარეს შთაბეჭდილებები კონცერტის შესახებ დასავლეთბერლინელმა ცოლ-ქმარმა არვი და ერიკა მიულერებმა. — შესანიშნავი ცეკვები გაქვთ. სსრ კავშირში პირველად როდი ვართ, ყირიმში ვისვენებდით და სასიამოვნო მოგონებებიც დაგვრჩა. ქართულ მიწა-წყალზე შეხვედრას, თქვენს სტუმართმოყვარეობასაც არასდროს დავივიწყებთ. (საქინფორმი).

პირველი პროდუქცია

მეტეხის საკედლე მასალების ახალი ქარხნის სრულიფუნქციანი „მმართველი“ გახდა ავტომატიკა. 9 სექტემბერს ამ საწარმომ, რომელმაც ყოველწლიურად 60 მილიონი ცალი აგური უნდა დაამზადოს, პირველი პროდუქცია გამოუშვა. ავტომატიზებული საყალიბო ხაზების, ელექტრონიკით მართვადი გამოსაწვავი ღუმლების, მექანიზებული დამზმარე სამსახურების მეშვეობით პერსონალის რიცხვი ჩვეულებრივთან შედარებით ოთხჯერ შემცირდა.

— ქარხანა ბულგარელი სპეციალისტების მონაწილეობით აშენდა. იგი სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა ერთობლივ მშენებლობაში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცადინეობის ინტეგრაციის დიდმნიშვნელოვანი ეტაპის დაწყების ნიშანსვეტი გახდა, — ამბობს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილე ა. ფოჩხუა. — სოციალისტური სახელმწიფოების კოლეგებთან პარტნიორობით ჩვენს ქვეყანაში თერმეტი ამგვარი ობიექტი უნდა აიგოს.

ახალი ქარხანა ამ პროგრამის პირველი საწარმოა. მეტეხის ქარხნის მსგავსი კიდევ სამი ობიექტი აშენდება საქართველოში მეთორმეტე ხუთწლედში. (საქინფორმი).

... ...

მეგობრობის ხიდები

— სიტყვა „ხიდი“ უნგრულადაც და ქართულადაც ერთსა და იმავეს ნიშნავს. შესაძლოა, ეს შემთხვევითი ფონეტიკური დამთხვევაც იყოს, მაგრამ ჩვენი ქვეყნებისა და ჩვენი ხალხების ურთიერთობის ისტორიამ მრავლად დაგვიტოვა მეგობრობისა და თანამშრომლობის შემაკავშირებელი ხიდები, რომელთა სიმტკიცეც დრომ გამოცადა და დაადასტურა.

ასე დაიწყო საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარემ გ. დ. აბაშიძემ, რომელიც გვესაუბრა რესპუბლიკის დელეგაციის ბუდაპეშტში გამგზავრების წინადღეს. დელეგაცია უნგრეთში მიემგზავრება, რათა მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეროვნული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

— ხიდი მაშინ არის საიმედო, როდესაც მტკიცე ბურჯზეა ნაშენი. მატიანეს შემოგვინახა ცნობები იმის შესახებ, რომ ქართველებსა და უნგრელებს ჯერ კიდევ XIII საუკუნეში ჰქონიათ კონტაქტები. საქართველოში პატრიოტიზმითა და მადლიერებით იგონებენ უნგრელ მესტამბეს მიკლოშ კიმს, რომელმაც 1687 წელს დაამზადა ამსტერდამში პირველი ბეჭდვითი ქართული შრიფტი პირველი ქართული სტამბისათვის. საქართველოს დედაქალაქ თბილისში XVIII საუკუნეში კვლავ უნგრელი ოსტატის მიხაილ იშტვანოვიჩის მონაწილეობით გამოვიდა მოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდვითი გამოცემა.

რუსთაველი დიდი ხანია ძველს უნგრულ ენაზე, ხოლო პეტფი — ქართულად. ჩვენს რესპუბლიკაში გამოცემულა პ. კარიკაშის, მ. ზალკას, ე. მადრის, ა. გიდაშის, შ. ვერეშის, ი. ჰილტაის, სხვა უნგრელი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებები. ისიც კარგად ვიცით, რომ უნგრელი მთარგმნელები ყურადღებას არ აკლებენ ქართველ ლიტერატორებს.

დღეს სოციალისტური უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის, საქართველოს თანამშრომლობა მარტოოდენ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში როდი ვითარდება. ჩვენს პარტნიორულ ურთიერთობაში სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა ეკონომიკას. სკკპ XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა უზრუნველვყოთ სოციალისტური ინტეგრაციის შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების უმაღლესი დონის ეკონომიკური თათბირის გადაწყვეტილებათა თანმიმდევრული რეალიზაციის საფუძველზე. ამასთან საგანგებოდ გაესვა ხაზი იმას, თუ რაოდენ საჭიროა ამ მუშაობაში აქტიურად ჩაებან გაერთიანებანი და საწარმოები, კერძოდ, განვითარდეს პირდაპირი საწარმოო კავშირი მომმე ქვეყნების საწარმოებთან.

ოთხი წლის წინათ თბილისში გაიმართა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისიის სხდომა. სხდომაზე მიღწეულ შეთანხმების სსრ კავშირის ოთხ მოკავშირე რესპუბლიკასთან, მათ შორის საქართველოსთან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უშუალო კონტაქტების დამყარების შესახებ. ამის შემდეგ განვლილ ხანმოკლე პერიოდში ბევრი რამ არის მიღწეული. მაგალითად, მჭიდრო საქმიანი კონტაქტები დამყარდა კეჩკემეის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტსა და საქართველოს ამავე პროფილის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს შორის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი ქარხანა „იკაროსთან“ ერთად აწყობს გამოკვლევებს სამთო მოდიფიკაციათა ავტომობილებისა და ავტობუსების, ტანინი სუბტროპიკების პირობებში მანქანათა კოროზიაგამძლე კვანძებისა და დეტალების შესაქმნელად. ქარხანა „გედეონ რიხტერმა“ და საქართველოს ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა ასევე ერთად შეიმუშავეს ახალი ანტისპაზმური პრეპარატი, რომელმაც თავიდან აიცილა ადამიანებს ტვინის სისხლძარღვების მძიმე სენი.

ორმხრივ ხელსაყრელი, ეფექტიანი პარტნიორობის ასეთი მაგალითები მრავლად შეიძლება დავასახელოთ. სასიხარულოა, რომ თანამშრომლობა ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგებისა და მიმართულებების მიხედვით, რომლებიც დაკავშირებულია ყველაზე თანამედროვე ნაშუშევრებთან და პრობლემებთან, ხვეწს ინტეგრაციის ახალ-ახალ წახნაგებს. მაგალითად, თბილისს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოსი“ და უნგრეთის საწარმო „რადელექსს“ საქმიანი თანამეგობრობა ავტომატური ფოტომეტრიული და ელექტროქიმიური ანალიზატორებისა და ხელსაწყოების კომპლექსის შექმნაში იმის წინამძღვარი გახდა, რომ შექმნილიყო თანამშრომლობის ახალი ფორმა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში. მათს ბაზაზე იქმნება ანალიზური ტექნიკის საერთაშორისო ინსტიტუტი „ინტერანალიზინსტრუმენტი“.

ამჟამად საქართველო მარტო უნგრეთს უგზავნის ცამეტი დასახელების ნაწარმს. ეს არის ჩარხები, მილები, ელექტროშესაღუღი მოწყობილობა, ამწეები ელექტროძრავები, ფერომშენადნობი, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, მიწასაწოვი აგრეგატები, სხვადასხვაგვარი ქიმიკატები, ჩაი, კონიაკი, ღვინო, მინერალური წყლები და სხვა.

უნგრეთიდან ვიღებთ მსუბუქი და კვების მრეწველობის, მედიცინის დარგისათვის განკუთვნილ მანქანა-მოწყობილობას.

სწორედ მსუბუქი ინდუსტრია, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება ხდება უნგრეთისა და საქართველოს პირდაპირი თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვანი სფერო. შარშან ჩვენს რესპუბლიკაში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტის დროს დადეს ორი ახალი ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულია არა მარტო პროდუქციის ერთობლივი წარმოება, არამედ ერთობლივი რეალიზაციაც მსოფლიო ბაზარზე. ასეთი პარტნიორობის კონკრეტული შედეგი თბილისის გარეუბანში მდებარე სამკერვალო ფაბრიკის პროდუქცია. ამ საწარმოს მიერ გამოშვებულმა სამავშო ტანსაცმელმა, უნგრელ სპეციალისტებთან ერთად განხორციელებული რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების შემდეგ, მყიდველთა მოწონება დაიმსახურა.

ფართო მოხმარების საქონელი, რომლის ნაწილი წარმოდგენილი იქნება ექსპოზიციაზე, რომელიც 19 სექტემბერს გაიხსნება უნგრეთის დედაქალაქში საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს ეროვნული დღის აღსანიშნავად, ჩაბარებს თავისებურ გამოცდას მკაცრსა და პირუთვნელ დამთვალიერებლებს, სპეციალისტებს. ასეთ გამოფენაში ჩვენი რესპუბლიკა პირველად მონაწილეობს და ძალიან გვინდა, რომ საქართველოს მშრომელთა ნაწარმი მოეწონოთ ბუდაპეშტის სტუმარმოყვარე მცხოვრებთ. ექსპოზიციაში ფართოდ იქნება წარმოდგენილი მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ნიმუშები: თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებისა და დედაქალაქის მაუდ-კამოლის კომბინატის ნაირფერი ქსოვილები, ხალხური მხატვრული სარწყაოების ოსტატთა ნაკეთობანი, რომლებიც თავისთავადობითა და ეროვნული კოლორიტით გამოირჩევა. სტენდების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგების პროდუქციას. ეს არის, კერძოდ, ფერადი ტელევიზორები, ელექტრონული საათები, წყალქვეშფრთიანი ხომალდები, რომელთა შექმნის პიონერებიც გახდნენ მთელ მსოფლიოში ქართველი გემთმშენებლები, სხვა რთული ტექნიკური ნაწარმი.

ერთიანი საბოლოო შედეგის მისაღწევად ერთობლივი მუშაობის მეთოდებმა მნიშვნელოვნად გაფართოვა ინტეგრაცია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, რომლის წევრია უნგრეთიც. ჩვენ კვლავაც განვავითარებთ უნგრეთთან პარტნიორობას, ვინაიდან თანამშრომლობას ორმხრივი სარგებლობა მოაქვს და გვეხმარება გადავჭრათ საერთო პრობლემები, მივაღწიოთ განვითარების კიდევ უფრო მაღალ დონეს. (სპეინფორმი).

სამშვიდობო ინიციატივა

პრესკონფერენცია მოსკოვში

საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია — ამ თემას მიეძღვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ, 41-ე სესიასთან დაკავშირებით საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართული პრესკონფერენცია. იგი მოეწყო 11 სექტემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში.

განცხადება გააკეთა სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ო. პეტროვსკიმ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით, მსოფლიო გაერთიანების სოავაზობს ახალ იდეებსა და მიდგომებს, რომელთა მიზანია ჩვენი პლანეტის ყველა ხალხისათვის გარანტირებული მშვიდობიანი მომავლის, ისეთი მომავლის მშენებლობა, რომლის დროსაც არ იქნება ომები და ძალადობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ დისკუსიებმა მეოცე სესიაზე ეროვნული ბოლის ეტაპზე გაძართულ ფართო ფასეულობებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი ახალი აზროვნების გამოხატულებაა წინადადება საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის შესახებ, რომელიც სოციალისტური ქვეყნების ჯგუფმა, მათ შორის სსრ კავშირმა დროულად შეიტანეს მომავალი სესიის განსახილველად.

საერთაშორისო საქმეებისადმი სსრ კავშირის ახალი, გაბედული მიდგომის დამაჯერებელი დადასტურებაა ყველა ბირთვული აფეთქების მორატორიუმი. მორატორიუმი, რომელიც დეკლარაცია კი არა, მოქმედებაა, უკვე თანადგოვრივ მსოფლიოს გახუყოფელი პოლიტიკური და სამხედრო რეალობა გახდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე საბჭოთა დელეგაციის წევრებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ პრესკონფერენციაში, უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებს.

(საკდესის კორ.)

გაგიარაღება ერთადერთი გზაა

საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებზე გამოხმაურებათა მიმოხილვა

საბჭოთა კავშირი განაგრძობს მშვიდობიან შეტევას ყველა ხალხის უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის — ასე ახასიათებს მსოფლიო პრესის მრავალი ორგანო გაზეთ „რუდე პრავოს“ მთავარი რედაქტორის კითხვებზე მ. ხ. გორბაჩოვის პასუხის აზრს.

ინტერვიუმ საზოგადოებრიობის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, პოლიტიკური მოღვაწეების დიდი ყურადღება სავსებით გასაგები მიზეზით მიიპყრო. მასში განხილულია თვით კაცობრიობის არსებობასთან დაკავშირებული ის ფაქტი, რომ წელიწადნახევარია გრძელდება ცალმხრივი მორატორიუმი, გამოცდების სასარგებლოდ წამოყენებული ამერიკის არგუმენტებიც ამკარად გამქრალდნენ, დაკარგეს საზოგადოებრიობაზე თავიანთი ზემოქმედების ძალა.

ეს დასავლეთშიც შეიგრძნეს. ვაშინგტონის ოფიციალური პირნი აღნიშნავენ, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, რომ „საზოგადოებრიობის აზრით, ბირთვული გამოცდები გამალებული შეიარაღების სინონიმია და ასეთი გამოცდების შეწყვეტის იდეა მოსწონს საზოგადოებრიობას“.

მსოფლიოში, მათ შორის თვით შეერთებულ შტატებშიც, იძულებული არიან შეუდარონ ერთმანეთს უბრალო ფაქტები: თუ საბჭოთა კავშირი მოეწყოდეს განიარაღებისათვის, მაშასადამე, იგი მზად არის საქმითაც დაამტკიცოს, რომ ერთგულობს ამ მიზნის მიღწევას. სსრ კავშირმა არა მარტო დაიწყა მორატორიუმი, არამედ თანმხმობა განაცხადა განიხილოს გამოცდების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დაცვის შემოწმების ყველა ღონისძიება. სწორედ ამ პრობლემის გარშემო ეწევიან ყველაზე მეტად სპეკულაციას დასავლეთში. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირმა ნება დართო თავის ტერიტორიაზე სემიპალატინსკის რაიონში განლაგებინათ ამერიკის სეისმოგრაფები. მეორე მხრივ, ამერიკელთა განცხადებას, რომ მზად არიან კონტროლი დაიწესონ შეიარაღებას, არ მოჰყოლია არავითარი საქმეები. „დამატებით შეიარაღებისათვის“ მოწოდებათა მიღმა ეი დგას ბირთვული და სხვა იარაღის არსენალების ზრდის რეალური პროგრამები, რომლებიც განუხრელად ხორციელდება.

დასავლეთის ინფორმაციის საშუალებანი განსაკუთრებით დაწვრილებით განმარტავენ საბჭოთა ხელმძღვანელის გამონთქვამებს, რომლებიც ეხება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი დონის მეორე შეხვედრის პერსპექტივებს. ამ თემას გაძლიერებით უწევენ ექსპლოატაციას ამერიკის პრესაშიც, ოფიციალურ ვაშინგტონშიც, და ცდილობენ შექმნან წარმოდგენა, თითქოს მნიშვნელოვანი იყოს თავისთავად შეხვედრა და არა გადაწყვეტილებების მიღება მასზე. „ვერა არ გავა, რომ თეთრი სახლის ან სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა არ განაცხადოს, რომ წარმოებს წინასწარი მოლაპარაკება, აპირებენ დასახონ განსახილველი საკითხები და ა. შ. მაგრამ მათ ოპტიმიზმს არავითარი საფუძველი არა აქვს და აშკარად სარეკლამო ხასიათისაა.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი პოზიცია „ადეგ ერთხელ მკაფიოდ ჩამოყალიბდა გაზეთ „რუდე პრავოსათვის“ გაცემულ პასუხში. სსრ კავშირი მხარს უჭერს საბჭოთა „კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის მოწყობას, მაგრამ იგი უნდა აღინიშნოს საერთაშორისო უშიშროების თუნდაც ერთი-ორი არსებითი პრობლემის გადაჭრის გზაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯით. საკითხი ის არის, მზად არის თუ არა ვაშინგტონი ასეთი შეხვედრისათვის? ფაქტები ნუგბეიერ პასუხს გვიკარნახებენ. მართლაც, ამერიკის შეერთებული შტატები არ გამოხმაურებია საბჭოთა კავშირის ცალმხრივ მორატორიუმს, იგი აფერხებს ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემის გადაჭრას, ცდილობს გაავრცელოს გამალებული შეიარაღება კოსმოსურ სივრცეში, უარს ამბობს ერთობლივად ეძებონ სტრატეგიული შეიარაღების შემცირების კომპრომისული გზები, ძირს უთხრის ასეთი შეიარაღების შეზღუდვის არსებულ მორიგებებს. ვაშინგტონის ეს საქმეები ერთმნიშვნელოვნად ამხილეენენ მის განზრახვას, განაგრძოს გამალებული შეიარაღების გაძლიერების სახიფათო პოლიტიკა.

რაოდენ ეკლიანი და ძნელიც უნდა იყოს საყოველთაო მოსპობისაგან „კაცობრიობის“ ხსნის გზა, საბჭოეთს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ გადაუხვიოს მას. ამას კიდევ ერთხელ მოწმობს საბჭოთა ხელმძღვანელის ინტერვიუ, რომელმაც ხაზი გაუსვა: ჩვენ შორსა ვართ უიმედობის პოზიციისაგან, გვწამს გონიერების ძალისა და კაცობრიობის თვითგადარჩენის გრძნობისა.

13 სექტემბერი ● საკდესი იუწყება

ინფორმაციები

ფაქტები • მოვლენები

ამერიკის ნამდვილი სახე

ნება არ დართეს

ვაშინგტონი. **სენტ-ლუისის (მისურის შტატი) საოლქო ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ ნება არ დართო მოწყობილიყო ხელისუფალთა მიერ შეთითხნილი ლეონარდ პელტიერის „საქმის“ ახალი სასამართლო გარჩევა.** ლ. პელტიერი თითქმის ათი წელია უდანაშაულოდ იტანჯება საპყრობილეში.

თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღიარა, რომ პირველი პროცესის დროს, რომელზეც ამერიკელ ინდიელთა მამაც ლიდერს ყალბი ბრალდებით მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა, ხელისუფლებმა „დამალეს პელტიერის სასარგებლო მტკიცებანი“. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამერიკის თემიდამ ინდიელი ხალხის უფლებებისათვის ბრძოლის აქტივისტს არ მისცა ახალი სასამართლო გარჩევის უფლება.

საოლქო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად ნიშნავს, რომ ხელისუფლებ სინდისის ქენჯნის გარეშე შეუძლიათ დაარღვიონ კონსტიტუცია, დაუსჯელად შეთითხნონ ცრუ ჩვენებები, განაცხადა ლეონარდ პელტიერმა, რომელსაც საკდესის კორესპონდენტი დაუკავშირდა ტელეფონით ლივენვორტის (კანზასის შტატი) ფედერალურ საპატიმროში. შეერთებულ შტატებში არ უნდა გქონდეთ სამართლიანობის იმედი, როცა საქმე ეხება ადამიანის უფლებებს, ხაზი გაუსვა ინდიელთა ლიდერმა.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **რიო-დე-ჟანეირო.** **დამთავრდა შეერთებულ შტატებში ბრაზილიის პრეზიდენტის ეოზე სარნეის ვიზიტი.** ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, რომ ბრაზილიამ არ დაუთმო ვაშინგტონს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიც არის ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის ეროვნული მრეწველობის დაცვა ამერიკული კორპორაციების მასობრივი შეღწევისაგან და დასავლეთის ბანკებისათვის საგარეო ვალების გადახდა. კერძოდ, ბრაზილიამ უარი თქვა დახმარებისათვის მიემართა საერთაშორისო სავალუტო ფონდისათვის, როგორც ამას შეერთებული შტატები მოითხოვს.

◆ **ნიუ-იორკი.** **არგენტინა 84-ე სახელმწიფოა, რომელმაც ამას წინათ რატიფიკაცია უყო საერთაშორისო პაქტს მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ.** წლეულს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აღნიშნავს ამ დოკუმენტის მიღების 20 წლისთავსა და მისი ძალაში შესვლის 10 წლისთავს. აღსანიშნავია, რომ შეერთებული შტატები არ არის იმ ქვეყნების სიაში, ვინც მოახდინა პაქტის რატიფიცირება.

◆ **დასავლეთ ბერლინი.** **ქალაქის მარიენფერდის რაიონში მდებარე ამერიკის სამხედრო ობიექტზე მოხდა ავარია.** როგორც ამერიკის სამხედროს წარმომადგენელმა თქვა, აქ აფეთქდა „ტექნიკური დანადგარი“, რომელსაც „არავითარი ზარალი არ მოჰყოლია“. მაგრამ როგორც გაზეთი „ვარპიატი“ იუწყება, აბრამსფეროში ფოსფორის გადადებულმა კონცენტრაციამ დაიწვა ავტომობილების დიდი ნაწილის ზედაპირი და სერიოზული ზიანი მიაყენა მწვანე ნარგავებს.

ფოტოფაქტი

● **პაკისტანი**

ყველა პოლიტიკური პატიმრის დაუყოვნებლივ განთავისუფლება და ნამდვილად დემოკრატიულ საფუძველზე ახალი საპარლამენტო არჩევნების მოწყობა მოითხოვეს უარაჩში გამართული მიტინგის მონაწილეებმა (სურათზე). მათ აღნიშნეს, რომ ძლიერდება მთავრობის საწინააღმდეგო კამპანია, რომელიც დემოკრატიის აღსადგენად მოძრაობის ინიციატივით მოეწყო.

აფპ-საკდესის ფოტო.

● საფრანგეთი

პრემიერმა უკან დაიხია

პარიზი. **საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟაკ შირაკმა, რომელიც გამოვიდა პარიზში ეროვნული თავდაცვის უმაღლეს ინსტიტუტში, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ მიმართ საფრანგეთმა უნდა დიაკავოს ისეთი პოზიცია, რომელიც არ დაუმორჩილებდა მას „სხვა ქვეყნის კანონებს“.**

ამრიგად, ჟაკ შირაკმა ფაქტობრივად ნაწილობრივ უკან დაიხია თავისი წინანდელი განცხადებებიდან, რომლებშიც დაეინებით მოითხოვდა საფრანგეთის მონაწილეობას „ვარსკვლავთის ომების“ პროგრამის განხორციელების სამეურნეოში.

ამავე დროს მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა საფრანგეთის ბირთვული ძალების შემდგომი სრულყოფის მნიშვნელობას, რომლებიც, როგორც მან თქვა, „ევროპაში შემოქმედ შენარჩუნების ფაქტორია“. პრემიერმა განაცხადა, რომ საფრანგეთი განაგრძობს ატომური წყალქვეშა ნავების მშენებლობას, სხვა სახეობის თანამედროვე შეიარაღების შექმნას.

◆ **სალვადორი**

ხელს უშლიან დიალოგს

სანტანა. **მორიგების მიუხედავად, რომელსაც მიაღწიეს მეხიკოში სალვადორის პარტიზანების და ხელისუფალთა წარმომადგენლების მოსამზადებელ შეხვედრაზე, ხესორის დასახლებული პუნქტი, რომელიც მოლაპარაკების მესამე ტურის მოწყობის ადგილად იყო არჩეული, დუარტეს პრძანებით დაიკავეს არმიის ქვეგანაყოფებმა.**

ეს განაცხადა სალვადორის ერთ-ერთი რადიოსადგურისათვის მიცემულ ინტერვიუში ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მთავარი სარდლობის წევრმა მარტი ნოკინ ვილიალობოსმა. მან აღნიშნა, რომ დუარტე აპირებს დიალოგი გამოიყენოს ვაშინგტონზე ზემოქმედებისათვის, რათა მიაღწიოს ფინანსური დახმარების გაზრდას სალვადორელი ხალხის წინააღმდეგ ომის გასაგრძელებლად. ამავე დროს პარტიზანულ ორგანიზაციებს გულწრფელად სწადიათ შეიარაღებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება.

ფაქტი და კომენტარი

აპარტეიდი ალყაშია

სამი სახელი შეემატა ამ კვირაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში კანონიერების სახელით ჩადენილი თვითნებობის მსხვერპლთა სიას. 9 სექტემბერს გამოენიისას პრეტორიაში ჩამოახრჩვეს ენდრიუ ზონდო, სიფო ზულუ და კლერენს პაი. სამი ახალგაზრდა აფრიკელი სამხრეთ აფრიკის ეროვნული კონგრესის — იმ ორგანიზაციის წევრები იყვნენ, რომელიც მეთაურობს თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის, რასობრივი და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ თავისი ხალხის ბრძოლას.

პიტერ ბოტას რეჟიმმა ყურად არ იღო არც სამხრეთ აფრიკის დემოკრატიული წრეების პროტესტი, არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი აფრიკის სახელმწიფოების ჯგუფის გამოსვლები, არც სხვადასხვა ქვეყნის ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციის აზრი, რომლებმაც ხმა აიმაღლეს დასჯილთა დასაცავად. პრეტორიაში სიკვდილთან დასჯეს სამი ახალგაზრდა. და ეს უაღრესად სამპტომური — აპარტეიდის სამი მოწინააღმდეგისათვის ანგარიშწორება პრეტორიამ აშკარად ჩაიფიქრა, როგორც ძალის ერთგვარი დემონსტრაცია.

ეი უკვე ორი წელია თეთრკანიანთა უმცირესობის მთავრობა ვერ აზშობს ანტირასისტული ბამოსვლებს, რომლებმაც მოიცვეს ქვეყანა. აშკარად მარცხდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მმართველთა ცდები მსოფლიოს მოვლენონ „რეფორმატორებისა“ და „მშვიდობისმყოფელების“ როლში. ამ პირობებში ისინი ყოველნაირად ცდილობენ უჩვენონ მსოფლიოს საზოგადოებრიობას, თითქოს უწინდებურად აკონტროლებენ მდგომარეობას ქვეყანაში და შეუძლიათ საკუთარი შეხედულებისაგან გამოფენაში ჩვენი რესპუბლიკა პირველად მონაწილეობს და ძალიან გვინდა, რომ საქართველოს მშრომელთა ნაწარმი მოეწონოთ ბუდაპეშტის სტუმარმოყვარე მცხოვრებთ. ექსპოზიციაში ფართოდ იქნება წარმოდგენილი მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ნიმუშები: თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებისა და დედაქალაქის მაუდ-კამოლის კომბინატის ნაირფერი ქსოვილები, ხალხური მხატვრული სარწყაოების ოსტატთა ნაკეთობანი, რომლებიც თავისთავადობითა და ეროვნული კოლორიტით გამოირჩევა. სტენდების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგების პროდუქციას. ეს არის, კერძოდ, ფერადი ტელევიზორები, ელექტრონული საათები, წყალქვეშფრთიანი ხომალდები, რომელთა შექმნის პიონერებიც გახდნენ მთელ მსოფლიოში ქართველი გემთმშენებლები, სხვა რთული ტექნიკური ნაწარმი.

ერთიანი საბოლოო შედეგის მისაღწევად ერთობლივი მუშაობის მეთოდებმა მნიშვნელოვნად გაფართოვა ინტეგრაცია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, რომლის წევრია უნგრეთიც. ჩვენ კვლავაც განვავითარებთ უნგრეთთან პარტნიორობას, ვინაიდან თანამშრომლობას ორმხრივი სარგებლობა მოაქვს და გვეხმარება გადავჭრათ საერთო პრობლემები, მივაღწიოთ განვითარების კიდევ უფრო მაღალ დონეს. (სპინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედიცინა

პირველი კუბელი გადანერგილი გულით

კუბელმა ექიმებმა განახორციელეს გულის გადანერგვის ათი ოპერაცია. ისინი გაიკეთეს ჰავანის ძმების ამეიხირასების სახელობის კლინიკურ-ქირურგიული ცენტრის სპეციალისტებმა.

ეროვნული სამედიცინო პრაქტიკის ისტორიაში ადამიანისათვის გულის გადანერგვის პირველი ოპერაცია აქ გაკეთდა შარშან დეკემბერში. დაგეგმილია უახლოეს წლებში საგრძნობლად გაიზარდოს ამგვარი ოპერაციების რიცხვი. ამიტომ ქვეყანაში ამზადებენ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რათა ორგანოების გადანერგვის რთული ოპერაციები რესპუბლიკის სხვა სამედიცინო ცენტრებშიც გაკეთდეს.

სურათზე: ხორხე ერნანდეს ოკანია პირველი კუბელია, რომელსაც გულის გადანერგვის ოპერაცია გაუკეთდა.

აინ-საკდესის ფოტო.

კომპეტენტური აზრი

რომეშ ჩანდრას განცხადება

ნიუ-იორკი. **სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხი გაზეთ „რუდე პრავოს“ კითხვებზე დიდ უყურადღებასა და მსოფლიო საზოგადოებრიობის მხარდაჭერას იმსახურებს, განაცხადა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა რომეშ ჩანდრამ.**

საკდესის კორესპონდენტთან ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭო, რომელიც ბირთვული ომის საფრთხის აღმოფხვრას ეწირაფვის, მიესალმება საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვული ბომბების ცალმხრივი მორატორიუმის გახანგრძლივებას. ნებისმიერი ბირთვული აფეთქების შეწყვეტა ახლა საკვანძო საკითხია. ამიტომ საჭიროა ვაიძულოთ ამერიკის ადმინისტრაცია შეუერთდეს საბჭოთა მორატორიუმს.

მეტაშე

ფელეტონისტის ბლოკნოტიდან

მშობლიურ სოფელს ვარლამი ცრემლებით გასცილდა, რა ილია — ყვარლის მთებს და რა ბანძიეთის ქედისათვის ვარლამის უკანასკნელი თვალის შევლება...

მაშინ ვაკეში საერთო საცხოვრებელთან უხვევდა ხუთი ნომერი ტრამვაი, და „ჩქიმი გური სკანი ბინას“... ღიღინით აუვლიდა და ჩაუვლიდა ძაბელის ბიძის სახლს, სადაც იმხანად გულისსწორი ეგულებოდა...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა...

ვარლამმა ჯერ პატარა, ათმეტრიანი ოთახი მიიღო ნაძალადევში, მერე ორთვალიანი, მერე სამთვალიანი... ბოლოს ხუთთვალიანი ბინით დაამთავრა კარიერის მძიმე აღმართი, აღმართი, რომელიც, მოგეხსენებათ, მაღლა თანდათან ვიწროდებოდა!

რაც ბანძიეთს თვალცრემლიანი გასცილდა, იქაურობა აღარ გახსენებია, ხანდახან რადიოში „მაცი ხვიტიას“ სიმღერა აუჩქროლებდა გულს, თორემ სად ეცალა, რაც სამსახურში ჩადგა, თითქმის არ ყოფილა არც ერთი დღე, სადმეტაში არ ჰქონოდა დასაკრავი, რაც, რა თქმა უნდა, ტრიბუნაზე მყოფისადმი თანხმობას ნიშნავდა, თვითონ მაინცდამაინც ხშირად არ უწევდა სიტყვის თქმა, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ტაშს „ვაშას“ ააყოლებდა, მაგრამ ეს — იშვიათად, ვარლამის „ამპლუა“ ტაში იყო, რაც თავისთავად თანხმობასა და თავის კანტურს ნიშნავდა.

ასე მიაღწია „დამსახურებულ“ პენსიამდე და ბოლოს სიხარულით და ტაშის ცემით, თითქმის ხელისკვრით, როგორც იქნა გაუშვეს...

...ყველაფერი იყო, — საჩუქრებიც და, რაც მთავარია, ტაშიც, ტაშიც იყო... ახლა ძნელი სათქმელია, ვინ რას გამოხატავდა ამ ტაშით, მაგრამ ფაქტი ფაქტია...

ვარლამი რომ ნაძალადევში ცხოვრობდა, მის მეზობლად იყო ვახტანგ ძამაშვილი, მეხანძრე, ბინის აღრიცხვაზე ერთად აიყვანეს, მაგრამ რაც ვარლამმა ბინა მიიღო და სხვა უბანში გადავიდა, არ შეხვედრია, გუშინ შეხვდა. და, თქვენ წარმოიდგინეთ, იცნო, დაქვრივებულა, ბიჭს ცოლი შეურთავს და მინსკში დასახლებულა, მამისთვის მოუწერია, ჩემთან უნდა გადმოხვიდეო. ვახტანგს ქვა აუგდია და თავი შეუშვერია, — მე თბილისში დავიბადე და თბილისში უნდა მოვკვდეო...

ახლა აღმასკომში მიიჩქაროდა, ნომერ პირველი ფორმა მთხოვესო (ყოველ წელს ყოფილა ეს ცნობა საჭირო!), დღესაც ბინის მიღების აღრიცხვაზეა...

...ვარლამს კი არ დარჩენია არც თავისი და არც ცოლის ნათესავი, ბინის მიღებაში რომ არ დახმარებოდა.

— პენსიაზე რომ არ გავეშვი, მოგეხმარებოდი, ახლა რაღა შემიძლიაო, — გაშალა ხელები ვარლამმა.

ვახტანგმა აღარ შეახსენა: ერთხელ ვიყავი შენთან, მაგრამ ვერ მიცანიო. ახლა რაღა დროს ძველი „ანგარიშების“ სწორებაა, გაიფიქრა.

— შენ კარგად მეყოლე, ჩემო ვარლამ, — უთხრა და გასცილდა.

...ვზიხარ ახლა და დიდი მონდომებით და სიზუსტით იმიტომ ვიწერ ამ ამბავს, რომ არ არსებობს ამ ქვეყნად ისეთი ფელეტონისტი, რომელიც არ ოცნებობს იმაზე, რომ ოდესმე, სიცოცხლის მანძილზე, დაწეროს ისეთი ფელეტონი, რომელშიც თავის სათქმელს ეტყვის...

ვინ მისცა ვარლამს ბინა?...

ვინ სთხოვს ვ



„ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡ-ᲥᲐᲚᲐᲥᲘ.



Ს. ᲗᲝᲕᲖᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲐ

12 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვში გაიმართა საკავშირო სამუსიკო საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილეს საზოგადოების წესდების პროექტი და მისი დამფუძნებელი კონფერენციის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები.

სხდომაზე გამოსულებმა — საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გმგეობის პირველმა მდივანმა ტ. ნ. ხრენიკოვმა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ვ. გ. ზახაროვმა და სხვებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საზოგადოებამ დიდი მუშაობა უნდა გასწიოს სამამულო და მსოფლიო მუსიკალური კულტურის საუკეთესო ნიმუშების პროპაგანდისათვის.

სხდომაზე განიხილეს და ძირითადად მოიწონეს საზოგადოების წესდების პროექტი. (საკმესინ).

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲣᲚᲘ პრესა სოფიაში მიმდინარე მატჩს მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ელენე ახმილოვსკაიას შორის დიდ ყურადღებას უთმობს. გაზეთებმა გამოაქვეყნეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ოგნიან დოინოვის განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ დიდ მადლობას ვუხდით ფიდეს პრეზიდენტს, საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციასა და მატჩის ორივე მონაწილეს, რომელთაც ამ უმაღლესი რანგის ინდივიდუალური შეჯიბრების ადგილად ბულგარეთი აირჩიეს“.

ცნობილი მიმომხილველი დიმიტრ პროდანოვი, რომელიც გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ ფურცლებზე კასპაროვ-კარპოვის მატჩს აშუქებს, ახლა სისტემატურად წერს ჩიბურდანიძე-ახმილოვსკაიას შეხვედრაზეც. მისი აზრით, ახმილოვსკაიას აქტიურობა პირველ პარტიაში მეფის ფრთაზე სულაც არ იყო გასაკიცხი, თუმცა სტეინიცისა და ტარაშის ეპოქაში გაკვირვებას გამოიწვევდა. დოგმატიკოსები ამ სვლას (პროდანოვი მეთორმეტე სვლას გულისხმობს — გ. გ.) თვითმკვლელობას უწოდებდნენ, რადგან ცენტრალური უჯრა სუსტდება. პროდანოვი წერს, რომ ფლანგური აქტიურობის ასეთი ინტერპრეტაცია თანამედროვე ჭადრაკში დაშვებულია. მიმომხილველს ძალიან მოსწონს მსოფლიო ჩემპიონის მანევრები ცენტრში, პრეტენდენტის მძიმე შეცდომად კი მე-16 სვლას თვლის, როცა მან

ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ-ᲐᲮᲛᲘᲚᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ

ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ-ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔᲓ!

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ პარტიას მიჰყვება, და ცხადი ხდება, რომ გრიუნფელდის დაცვა მსოფლიო ჩემპიონს ძალიან კარგ სამსახურს უწევს. მეთხუთმეტე პარტიაში იგი უკვე მეშვიდედ შეგვხვდა. კარპოვი, როგორც მოსალოდნელი იყო, ზეეცადა ახლებურად ეთამაშა, რადგან წინა შეხვედრებში (ერთის გამოკლებით) გრიუნფელდის დაცვის წინააღმდეგ ბევრს ვერაფერს მიაღწია. ახლა მან ამ დაცვის სპპირისპიროდ პიაკებით ცენტრის დაპყრობის გეგმა აირჩია, რაც კარგად არის ცნობილი თეორიაში. დებიუტის შედეგად თეორეს ზედმეტი პიაკი დარჩა, მაგრამ ეს სვლაც არ ნიშნავდა მთის უპირატესობას. მსოფლიო ჩემპიონმა ძალიან ღრმა გეგმა განახორციელა, რომლისთვისაც ალღოს აღება თვით მრავალნაკად კომენტატორებსაც კი გაუჭირდათ. იმჭს ნაცვლად, რომ პიაკი დაებრუნებინა, კარპოვმა ჯერ მეტოქის ცენტრი დაასუსტა. მალე გამოირკვა, რომ თეორების რიგზე, თუნდაც მცირე, უპირატესობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ძალზე საინტერესო იყო იმისათვის თვალის მიდევნება, თუ როგორ „მოიშორა თავიდან“ ჩემპიონმა საკუთარი კიდური პიაკი, რომელიც სუსტი გახლდათ და ამჭსობაში შოახდინა თეორების ფორპოსტის ლიკვიდაცია.

ერთხანს თამაში თანაბარ ენდშპილში გაგრძელდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მდგომარეობა კიდევ უფრო გამარტივდა, 29-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიში გახდა 8,5-6,5 კასპაროვის სასარგებლოდ. ასეთი ანგარიში, რა თქმა უნდა, ჯერ მატჩის დასასრულს არ მოასწავებს, მაგრამ თითოეული პარტია შედეგი კასპაროვს მიზანთან აახლოებს, კარპოვის ამოცანას კი აძნელებს. 15 პარტიის შემდეგ, მაგალითად, მოსალოდნელია ეფექტმიზონის მხრივ ბრძოლის მკვეთრი გამწვავება — სხვა გამოსავალი მას არა აქვს. საქმე ის არის, რომ მატჩის მოსაგებად დარჩენილი 9 პარტიიდან მას 6 ქულის მოგოგრავება სჭირდება, რაც ურთულეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს. ეს მაშინ, როდესაც თავისი წოდების შესანარჩუნებლად კასპაროვს სულ 3,5 ქულაღა სჭირდება.

ᲛᲔᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ
ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ — ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ
ᲒᲠᲘᲣᲜᲤᲔᲚᲓᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

1. d4 Ძf6 2. c4 g6 3. Ძc3 d5 4. Ძf3 ᲩG7 5. ᲚB3 dc 6. ᲚC4 0-0 7. e4 ᲩG4 8. ᲩE3 ᲫFD7 9. ᲫD1 ᲫC6 10. Ჩe2 ᲫB6 11. ᲚC5 Ჩd6 12. e5 ᲚC5 13. dc ᲫC8 14. ᲫB5 ᲫB6 15. ᲫC7 e6 16. ᲫB5 ᲫB6 17. ᲫD2 b6 18. cb ab 19. Ჩg5 ᲫF5 20. b3 h6 21. Ჩf6 Ჩ:f3 22. Ჩ:f3 ᲫE5 23. Ჩ:e5 Ჩ:e5 24. 0-0 ᲫFD8 25. ᲫFD1 ᲫD2 26. ᲫD2 ᲫC8 27. g3 ᲫC1+ 28. ᲫBG2 ᲫBF8 29. Ჩe4 ᲫBE7 ყაიმი.

დღეს მონაწილეები ისვენებენ. მორიგი, მეთექვსმეტე პარტია ხვალ არის დანიშნული.

Გ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲙᲔᲚᲘ.

ᲬᲐᲛᲚᲔᲑᲘ... ᲩᲕᲔᲜᲨᲘᲐ

ურად არ არის შესწავლილი, მაგრამ უკვე ცხადია: ისინი გაცილებით უფრო ეფექტიანია, ვიდრე ბევრი ფარმაკოლოგიური საშუალება. ან რატომ არის, რომ მთელ რიგ სერიოზულ დაავადებათა სამკურნალოდ ნეიროპეპტიდების გამოყენების იდეამ ფართო გავრცელება პოვა.

— ნეიროპეპტიდები, აკმაყოფილებენ რა ორგანიზმის კვებითს, წყლისა და სხვა ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს, აქტიურ მოქმედებას ანდომებენ ცხოველებს. მათ შეუძლიათ წარმოშონ და გაიაქროს შიში თუ აგრესია, — თქვა ნორმალური ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. სუდაკოვმა. — ჩვენ შევისწავლეთ ამჟამად მეცნიერებისათვის ცნობილ ასზე მეტი ნეიროპეპტიდთაგან ათი, და ცხადვყავთ, რომ შესაძლებელია ვმართოთ ბიოლოგიური მოტივაციები: გაგაძლეროთ ან დავაცხროთ ისინი. ეს კი პერსპექტივაში გვისახავს გზას გამოვიყენოთ ნეიროპეპტიდები კლინიკურ პრაქტიკაში ძნელად მოსარჩენი დაავადებების — სიმსუქნის, აკვიატებული შიშის, ტკივილისმიერი სინდრომების სამკურნალოდ...

ნერვული უჯრედების გენეტიკურ აპარატზე ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა გავლენის შესწავლა გვეხმარება უკეთ შევეცნოთ მემკვიდრეობითობის ნენიები. თუმცა, ოლიგოპეპტიდები არსებითს გავლენას ახდენენ ხელოვნურად შექმნილ მოტივაციებზე: ალკოჰოლიზმზე და ნარკომანიაზე. ამ წადილის ჩახშობა შესაძლებელია ოლიგოპეპტიდების მეშვეობით. არ არის აუცილებელი მათი შეყვანა ტვინში. საკმარისია ავადმყოფს თვალში ჩავაწვეთოთ. ერთჯერადი პროცედურის მოქმედება კი ნახევარ თვემდე გრძელდება.

ორგანიზმში ოლიგოპეპტიდების როლის კვლევა ჯერ კიდევ ექსპერიმენტის სტადიაშია. მაგრამ ზოგიერთი ნივთიერება უკვე გამოიყენება ძილის აშლილობის სამკურნალოდ, საჭმლის მონელების დარღვევების დროს. ეტყობა, მეცნიერები არ აზვიადებენ, როდესაც მათ XXI საუკუნის წამლებს უწოდებენ. მაგრამ „წამლის“ ცნებას ისინი ახალ აზრს აქსოვენ. ოლიგოპეპტიდები ხომ ჩვენში არსებული პრეპარატებია. ამოცანა მხოლოდ ის არის, რომ ვისწავლოთ მათი მართვა. ერთ შემთხვევაში — გავუძლიეროთ ფუნქციები, ხოლო მეორეში — დავუცხროთ.

Ბ. ᲚᲘᲐᲜᲝᲕᲘ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲨᲐᲮᲛᲐᲢᲨᲘ

ᲒᲠᲘᲣᲜᲤᲔᲚᲓᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ-ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔᲓ!

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ პარტიას მიჰყვება, და ცხადი ხდება, რომ გრიუნფელდის დაცვა მსოფლიო ჩემპიონს ძალიან კარგ სამსახურს უწევს. მეთხუთმეტე პარტიაში იგი უკვე მეშვიდედ შეგვხვდა. კარპოვი, როგორც მოსალოდნელი იყო, ზეეცადა ახლებურად ეთამაშა, რადგან წინა შეხვედრებში (ერთის გამოკლებით) გრიუნფელდის დაცვის წინააღმდეგ ბევრს ვერაფერს მიაღწია. ახლა მან ამ დაცვის სპპირისპიროდ პიაკებით ცენტრის დაპყრობის გეგმა აირჩია, რაც კარგად არის ცნობილი თეორიაში. დებიუტის შედეგად თეორეს ზედმეტი პიაკი დარჩა, მაგრამ ეს სვლაც არ ნიშნავდა მთის უპირატესობას. მსოფლიო ჩემპიონმა ძალიან ღრმა გეგმა განახორციელა, რომლისთვისაც ალღოს აღება თვით მრავალნაკად კომენტატორებსაც კი გაუჭირდათ. იმჭს ნაცვლად, რომ პიაკი დაებრუნებინა, კარპოვმა ჯერ მეტოქის ცენტრი დაასუსტა. მალე გამოირკვა, რომ თეორების რიგზე, თუნდაც მცირე, უპირატესობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ძალზე საინტერესო იყო იმისათვის თვალის მიდევნება, თუ როგორ „მოიშორა თავიდან“ ჩემპიონმა საკუთარი კიდური პიაკი, რომელიც სუსტი გახლდათ და ამჭსობაში შოახდინა თეორების ფორპოსტის ლიკვიდაცია.

ერთხანს თამაში თანაბარ ენდშპილში გაგრძელდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მდგომარეობა კიდევ უფრო გამარტივდა, 29-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიში გახდა 8,5-6,5 კასპაროვის სასარგებლოდ. ასეთი ანგარიში, რა თქმა უნდა, ჯერ მატჩის დასასრულს არ მოასწავებს, მაგრამ თითოეული პარტია შედეგი კასპაროვს მიზანთან აახლოებს, კარპოვის ამოცანას კი აძნელებს. 15 პარტიის შემდეგ, მაგალითად, მოსალოდნელია ეფექტმიზონის მხრივ ბრძოლის მკვეთრი გამწვავება — სხვა გამოსავალი მას არა აქვს. საქმე ის არის, რომ მატჩის მოსაგებად დარჩენილი 9 პარტიიდან მას 6 ქულის მოგოგრავება სჭირდება, რაც ურთულეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს. ეს მაშინ, როდესაც თავისი წოდების შესანარჩუნებლად კასპაროვს სულ 3,5 ქულაღა სჭირდება.

ᲛᲔᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ
ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ — ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ
ᲒᲠᲘᲣᲜᲤᲔᲚᲓᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

1. d4 Ძf6 2. c4 g6 3. Ძc3 d5 4. Ძf3 ᲩG7 5. ᲚB3 dc 6. ᲚC4 0-0 7. e4 ᲩG4 8. ᲩE3 ᲫFD7 9. ᲫD1 ᲫC6 10. Ჩe2 ᲫB6 11. ᲚC5 Ჩd6 12. e5 ᲚC5 13. dc ᲫC8 14. ᲫB5 ᲫB6 15. ᲫC7 e6 16. ᲫB5 ᲫB6 17. ᲫD2 b6 18. cb ab 19. Ჩg5 ᲫF5 20. b3 h6 21. Ჩf6 Ჩ:f3 22. Ჩ:f3 ᲫE5 23. Ჩ:e5 Ჩ:e5 24. 0-0 ᲫFD8 25. ᲫFD1 ᲫD2 26. ᲫD2 ᲫC8 27. g3 ᲫC1+ 28. ᲫBG2 ᲫBF8 29. Ჩe4 ᲫBE7 ყაიმი.

დღეს მონაწილეები ისვენებენ. მორიგი, მეთექვსმეტე პარტია ხვალ არის დანიშნული.

Გ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲙᲔᲚᲘ.

ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲔᲜ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲠᲘᲒᲐᲨᲘ, სადაც მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების არტურ იუსუპოვისა და ანდრია სოკოლოვის მატჩი, მეხუთე გადადებული პარტიაში სოკოლოვმა ვერ შეძლო მატერიალური უპირატესობის გამოყენება. ეს შეხვედრა 67-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, ანგარიში გახდა 3,5:1,5 იუსუპოვის სასარგებლოდ. მატჩის დამთავრებამდე კიდევ 9 პარტიაა.

ᲡᲐᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲝ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

ᲡᲡᲡᲠ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადამ თავის ეკვატორს მიაღწია. სპორტის ბევრ სახეობაში უკვე გამოვლინდნენ ჩემპიონები. წინ არის შეჯიბრებები ისეთ საინტერესო სახეობებში, როგორიც არის მძლეოსნობა, კრივი, ველოსპორტი, სპორტული ტანვარჯიში, სროლა. ახლა კი გავეცნოთ შეჯიბრების შედეგებს.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ წყალჟამარდობის ოლიმპიურ ცენტრში დაიწყო წყალბურთელთა ტურნირი. ამ სახეობაში საქართველოს ნაკრები მესამე სპორნი აგდილზე გამოსვლას ვარაუდობს, რაც 100 ქულას შემატებს ჩვენს სასპორტაციოდ ყუთებას. საქართველოს წყალბურთელებმა წარმატებით აიღეს სტარტი, თავის ქვეჯგუფში პირველ შეხვედრაში ანგარიშით 12:10 დაამარცხეს უკრაინის ნაკრები. საქართველოს ნაკრების მეორე შეხვედრაც უზბეკეთის ნაკრებთან აღმავლობით მიმდინარეობდა და გაიმარჯვა ანგარიშით 12:9. ამრიგად, ჩვენმა წყალბურთელებმა ფინალურ ტურნირში მოსაწილეობის უფლება მოიპოვეს. პირველი ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ბელორუსია-ტაჯიკეთი — 7:6, აზერბაიჯანი-მოლდავეთი — 6:6, ყაზახეთი-სომხეთი — 11:9, მოსკოვი-რსფსრ — 13:7.

ᲙᲐᲚᲪᲘᲡᲜᲘᲗᲐ შეჯიბრება ფინიშს უახლოვდება. პირველ ძმიმე წონაში (110 კგ.) სსრ კავშირის ხალხთა მეცხრე სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა დორჯიდში ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა დიმიტროვგრადელმა იური ზახარეევიჩმა — 445 კგ. მეორე ადგილზე გავიდა დნეპროძერჟინსკელი სერგი ნაგირნი (429,5 კგ.), ბრინჯაოს მედალი ხვდა ორჯონიკიძელ არტურ აკოფოვს (407,5 კგ.).

ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ ᲛᲝᲒᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘᲗ კვლავ აკრძალებენ შეჯიბრებას. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოქროს მედალი მოიპოვა მოსკოველმა ალექსანდრე ბაზაროვმა, რომელმაც ეს მანძილი 3 წუთში 5,14 წამში გაცურა, კიდევ ერთი ოქროს მედალი შემატა თავის გუნდს დონეცკელმა ვალერი ლობიკმა, რომელმაც პირველი ადგილ დაიკავა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. მეშახტეთა ქალაქის მეორე წარმომადგენელი ელენე ოსადჩუკი უძლიერესი იყო 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში. 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში გიმარჯვა ლენინგრადელმა ელენე ვოლკოვამ. 4X100 მეტრზე ესტაფეტაში თავისუფალი სტილით ცურვაში გაიმარჯვა რსფსრ ეაკრებმა.

ᲓᲐᲕᲜᲘᲗ მოფარიკაკეთა შორის გუნდურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვეს მოსკოველმა სპორტსმენებმა, რომელთაც ფინალში დაამარცხეს ესტონელი მოფარიკავეები. მესამე ადგილი წილად ხვდა უკრაინის გუნდს. სავრთო გუნდურ ჩათვლაში ყველა სახეობაში, პირველ ადგილზე გავიდნენ მოსკოველი მოფარიკაკეები, მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს რსფსრ და უკრაინის გუნდებმა. საქართველოს ნაკრები მეშვიდე ადგილით დაკმაყოფილდა.

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ბალახის ჰოკეისტთა ტურნირიც. სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა უზბეკეთის გუნდმა, ვერცხლის მედლები უკრაინელმა ჰოკეისტებმა დაისაკუთრეს, ბრინჯაოს მედლები გადაეცა ყაზახეთის გუნდს. ჩვენი რესპუბლიკის ჰოკეისტთა ნაკრები მეექვსე ადგილზე გავიდა.

ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ-ᲐᲮᲛᲘᲚᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ

ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ-ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔᲓ!

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ პარტიას მიჰყვება, და ცხადი ხდება, რომ გრიუნფელდის დაცვა მსოფლიო ჩემპიონს ძალიან კარგ სამსახურს უწევს. მეთხუთმეტე პარტიაში იგი უკვე მეშვიდედ შეგვხვდა. კარპოვი, როგორც მოსალოდნელი იყო, ზეეცადა ახლებურად ეთამაშა, რადგან წინა შეხვედრებში (ერთის გამოკლებით) გრიუნფელდის დაცვის წინააღმდეგ ბევრს ვერაფერს მიაღწია. ახლა მან ამ დაცვის სპპირისპიროდ პიაკებით ცენტრის დაპყრობის გეგმა აირჩია, რაც კარგად არის ცნობილი თეორიაში. დებიუტის შედეგად თეორეს ზედმეტი პიაკი დარჩა, მაგრამ ეს სვლაც არ ნიშნავდა მთის უპირატესობას. მსოფლიო ჩემპიონმა ძალიან ღრმა გეგმა განახორციელა, რომლისთვისაც ალღოს აღება თვით მრავალნაკად კომენტატორებსაც კი გაუჭირდათ. იმჭს ნაცვლად, რომ პიაკი დაებრუნებინა, კარპოვმა ჯერ მეტოქის ცენტრი დაასუსტა. მალე გამოირკვა, რომ თეორების რიგზე, თუნდაც მცირე, უპირატესობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ძალზე საინტერესო იყო იმისათვის თვალის მიდევნება, თუ როგორ „მოიშორა თავიდან“ ჩემპიონმა საკუთარი კიდური პიაკი, რომელიც სუსტი გახლდათ და ამჭსობაში შოახდინა თეორების ფორპოსტის ლიკვიდაცია.

ერთხანს თამაში თანაბარ ენდშპილში გაგრძელდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მდგომარეობა კიდევ უფრო გამარტივდა, 29-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიში გახდა 8,5-6,5 კასპაროვის სასარგებლოდ. ასეთი ანგარიში, რა თქმა უნდა, ჯერ მატჩის დასასრულს არ მოასწავებს, მაგრამ თითოეული პარტია შედეგი კასპაროვს მიზანთან აახლოებს, კარპოვის ამოცანას კი აძნელებს. 15 პარტიის შემდეგ, მაგალითად, მოსალოდნელია ეფექტმიზონის მხრივ ბრძოლის მკვეთრი გამწვავება — სხვა გამოსავალი მას არა აქვს. საქმე ის არის, რომ მატჩის მოსაგებად დარჩენილი 9 პარტიიდან მას 6 ქულის მოგოგრავება სჭირდება, რაც ურთულეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს. ეს მაშინ, როდესაც თავისი წოდების შესანარჩუნებლად კასპაროვს სულ 3,5 ქულაღა სჭირდება.

ᲛᲔᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ
ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ — ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ
ᲒᲠᲘᲣᲜᲤᲔᲚᲓᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

1. d4 Ძf6 2. c4 g6 3. Ძc3 d5 4. Ძf3 ᲩG7 5. ᲚB3 dc 6. ᲚC4 0-0 7. e4 ᲩG4 8. ᲩE3 ᲫFD7 9. ᲫD1 ᲫC6 10. Ჩe2 ᲫB6 11. ᲚC5 Ჩd6 12. e5 ᲚC5 13. dc ᲫC8 14. ᲫB5 ᲫB6 15. ᲫC7 e6 16. ᲫB5 ᲫB6 17. ᲫD2 b6 18. cb ab 19. Ჩg5 ᲫF5 20. b3 h6 21. Ჩf6 Ჩ:f3 22. Ჩ:f3 ᲫE5 23. Ჩ:e5 Ჩ:e5 24. 0-0 ᲫFD8 25. ᲫFD1 ᲫD2 26. ᲫD2 ᲫC8 27. g3 ᲫC1+ 28. ᲫBG2 ᲫBF8 29. Ჩe4 ᲫBE7 ყაიმი.

დღეს მონაწილეები ისვენებენ. მორიგი, მეთექვსმეტე პარტია ხვალ არის დანიშნული.

Გ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲙᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲕᲘᲠᲩᲐᲠᲝ ᲡᲐᲥᲘᲗᲮᲐᲕᲘ

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲜᲐᲚᲕᲔᲚᲘ

„ᲐᲚᲐᲠᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲠ ᲡᲐᲒᲘᲠᲝ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ“... ᲜᲘᲙᲝ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲐᲫᲔ, „ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲤᲠᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲘ“,

ᲒᲔᲣᲬᲘᲜᲐ ქრისტინეს სიკვდილი.

—გასულ შაბათს გავასვენეთ, საცოდავი, — მეუბნება მეზობელი და თან სიცხისგან დამშრალ გუბეში იხვის ჭუკებს წყალს უსხამს: „ეჰ, დაწყნარდით ახლა, თქვე გასაწყვეტლებო“... ვედროს ლელვის ძირში დგამს, სამეზობლო ლობესთან ახლოს მოდის და ხმადაბლა განაგრძობს საუბარს, თითქოს საიდუმლოს ამხელსო:

— აბა, შენ არაფელი გაგიგია? თუმცა, რო გეგეგო, ქე ჩამოხვიდოდი გასვენებაზე... მაგენს საქმე დეევმართათ, ბიცოლა, არ ვიცი, სირცხვილით, რაფერ უნდა დეენახონ ვინმეს...

— ვის მაგათ?

— ვის და, ქრისტინეს ლეყერა ბიჭებს...

— რა მოხდა მაინც?!

— თავი ჩამეისრჩო მა უბედურმა, აბაააა... ეთერიე მისულიყო რაღაცაზე, უძახა თურმე, უძახა... ქრი იყო იმ დილას უსაშველო და ვერ გავაგონეო, უფიქრია, გასულა სახლის უკან და სამრეიოო მსხალზე უნახავს ქრისტინე ჩამოკიდებული... ეთერიეს კიბეზე ქე გადავეკენინეთ ყველე, მარა ვეღარ ეუშველეთ...

— რა საქმეა?

— ნუ იტყვი, ბიცოლა... მეზობლებსაც მეგვეჭრა თავი...

— რამ მოაფიქრა მაგ საწყალს ასეთი რამე...

— ყველე ერთნაირი ხვარაა, შენ შემოგეკვლე, გადაგა ადამიანი უცებ ჭკუაზე და... ჯერ ლამარას სიკვდილი რამ გადაატანია... ქალიშვილი, ხო იცი, მაინც ქალიშვილია!... იგი იყო მაგის მიმხედავი... ბიჭებია და, მაგენს კაცობის

ᲝᲠᲘ ᲔᲢᲘᲣᲓᲘ ᲪᲘᲙᲚᲘᲓᲐᲜ:
„ᲩᲔᲛᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲝᲓᲐ“

ᲘᲚᲣᲨᲐ დაბრუნებულა. თავიდანვე უკუღმართი ჰყავდა გამჩენს. მემვიდე კლასამდე გაგვყვა რის ვაი-ვაგლახით და მერე პირი აღარ უქნია სკოლისაკენ. ჩაერია პედსაბჭო, სოფლსაბჭო — ომში დაღუპულის შვილიაო, ტყვეს გაგვაძრობენო... არაფერი გამოვიდა. „რაშიც გინდა მოგეხმარები, ოღონდ წიგნი არ დამანახოთო“, — გამოუცხადა დედამისს, და ელენესაც რა ექნა, სად ჰქონდა მისი დაკვნის თავი შრომაში გალეულ ავადმყოფ ქალს.

ერთხანს თითქოს მართლაც მოინდომა ილუშამ. კვეს ეკიდა, თოხნიდა, ჩაიშიგ დაჰყვებოდა ელენეს, ცოტას თვითონ კრეფდა, ცოტ-ცოტას მეჩაიე გოგოები უმატებდნენ, ოღონდ არ იკითხავთ, რისთვის? ერთი კარგი სიმღერისთვის. სიმღერა კი, მართლაც სასწაული იცოდა... ჰოდა, ჩაიყენებდნენ ილუშას კვალში მკრეფავები, შეუკვეთავდნენ რაიმეს და მასაც მეტი რა უნდოდა. ერთ სიმღერაში თითო მუჭა ჩაის ფოთოლი უნდა ჩაეყარათ გოგოებს ილუშას კალათაში.

მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. რომ დავაკვაკდა და, როგორც ჩვენში იტყვიან, უკვე არც სიგრძე აკლდა და არც განი, იასონა მეგარმონეს აეკიდა, მასთან ერთად დადიოდა ქორწილებში და დღეობებში, დოლს უკრავდა და ამღერებდა თქვენი მოწონებული.

როგორც გითხარით, სიმღერა ისეთი იცოდა, ეშმაკს შეაცდენდა. ჰოდა, ერთ საშუალამეს, ქორწილიდან წამოსულმა, მართლაც შეაცდინა გზაში გოდუაძეების ქურციკოვით ქალიშვილი. ვინ აპატიებდა, შვიდ წელიწადს იჯდა სადღაც შორეულში, დაბრუნდა და დედამისი აღარ დახვდა ცოცხალი. მიიხედ-მოიხედა ეზო-გარემოში, მეზობლები მოიხმარა და სახლი შეაკეთა, ერთ დღეს კი გოდოგნელი ქალი მოიყვანა და მთლად გადარია ჩვენებურები: „ნახეთ ერთი, რაფერ დაჭკვიანებულა ილუშიეო“...

მეტი არაა თქვენი მტერი. მალე ვიღაც-ვიღაცეებმა დაუწყეს მოკიბა და ხანგამოშვებით ახალგაბითბულ თივაზე გორდები.

— ბარაქა თქვენს შრომას... ილია პეტროვიჩ, როგორა ხარ, შე ძველო?..

ილუშა თავს სწევს, მერე ცელს ბალახებში ტოვებს და რამდენიმე ნახტომით ჩემთან ჩნდება ერთიანად გაბადრული.

— შენ გეხუტუნე, შენ... რავა ხარ ბიჭო... შემოდი, შემოდი ეზოში...

— არა, არა... აღარ გაგაცდენ ახლა...

— არ გადამრიო... რას გამაცდენ, თავს ვიქცევდი ჩემთვის!.. — ჭიშკარს აღებს და გულიანად მკოცნის. ვატყობ, მართლა გიხარდა ჩემი ნახვა. რა უნდა ვქნა, უარი არ გამოვა.

— ჰო, ჰო, კარგი, შემოვალ...

— გოგიტა! გიაქეი დედაშენთან, სკამები გამომიტანეთ აგერ, ნიგვზის ძირში! — პატარა ბიჭი, აქამდე რომ გაკვირვებული შემოგვაქერდა, თითქოს ამას ელოდო, მკვირცხლად გავარდა სახლისკენ.

— რამდენი ხანია აღარ შეხვედრივართ, ა... გაჭაღარავებულხარ, ჩემი არ იყოს!..

— ეეჰ... ხელად გადის წლები...

— აბაა!...



ᲘᲚᲣᲨᲐᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

ᲗᲘᲗᲘ ᲓᲦᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲐᲠᲐᲤᲔᲚᲘ ᲐᲪᲮᲘᲐᲗ, ᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲣᲪᲕᲘᲗ ᲓᲐᲒᲠᲔᲚᲘ ᲩᲘᲜᲐᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲘᲚᲣᲨᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲐ. ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲤᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜ